ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №46, აპრილი, 2019 წელი



ქ. სოხუმი

გენო კალანდიას 80 წელი შეუსრულდებოდა
გვ.5

სოხუმის თეატრს უკვე საკუთარი ჭერი აქვს
გვ.6

თემურ ელიავა - ლექსები
გვ.12

ჟიული შარტავა - ჩვენი დროის გმირი

მაია შონია

სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების ნაკლებობას, ჩვენდა საამაყოდ, ქართველები არასდროს განიცდიდნენ. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ უახლესმა ისტორიამ წაგებული ომის გმირთა სახელები შემოგვინახა. ჩვენი დროის გმირების ამბავი 1993 წლის 27 სექტემბერს დაიწყო, როდესაც ჟიული შარტავამ, აწ უკვე დიდგორის, ვახტანგ გორგასლისა და წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენების კავალერმა, საქართველოს ეროვნულმა გმირმა თავის თანამებრძოლებთან ერთად სამშობლოსათვის თავი გასწირა.
წლეულს ჟიული შარტავას დაბადებიდან 75 წელი შესრულდა და ამ თარიღმა განსაკუთრებული სიმძაფრით გაგვახსენა 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს განვითარებული ტრაგიკული მოვლენები. ოფიციალური ქრონიკა ასეთია: ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ჟიული შარტავა 1944 წლის 7 მარტს დაიბადა. ის 1993 წლის 27 სექტემბერს – სოხუმის დაცემის დღეს დახვრიტეს. ჟიული შარტავას სიკვდილის შემდეგ საქართველოს პირველი ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. ამ მშრალი სიტყვებისა და თარიღების მიღმა სამშობლოსათვის თავდადების საოცარი ისტორიაა მოქცეული.

გაგრძელება გვ. 3

„ჩემი აფხაზეთის“ ეს ნომერი უკვე იბეჭდებოდა, როცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოში ცვლილებები მოხდა: მთავრობის თავმჯდომარედ რუსლან აბაშიძე წარადგინეს, ხოლო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ჯემალ გამახარია დაინიშნა. „ჩემი აფხაზეთის“ ეს ნომერი კი მოგითხრობთ 2019 წლის იანვარ-აპრილის ამბებს, ისე და იმგვარად, როგორც ზემო აღნიშნულ ცვლილებებამდე იყო.

გავიღრმავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიაზე

გიორგი პატაშური

წლეულს, 15 აპრილიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, „აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამის“ ფარგლებში, ქ. თბილისის საჯარო სკოლებში აფხაზეთის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ლექცია-სემინარები განაახლა.

საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას უზრუნველყოფს სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური. პროექტი მიზნად ისახავს ქ. თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის აფხაზეთის ისტორიასა და დღევანდელობაზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას. პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეების მონაწილეობით ახალგაზრდული კონფერენცია გაიმართება, ხოლო კონფერენციის მონაწილეები კი აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილ თანატოლებთან ერთად საზაფხულო - საველე

ბანაკის მუშაობაში ჩაერთვებიან.

წლეულს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ პროექტისთვის - ,,გავიღრმავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორიის შესახებ“ - ქ. თბილისის №60, №133, №211, №146, №26 საჯარო სკოლები შეარჩია. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში ეს პროექტი ქ. თბილისის ათ საჯარო სკოლაში განხორციელდა.

მოსწავლეებს ლექციების ციკლს წაუკითხავენ პროფესორ-მასწავლებლები: ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ზაზა ადეიშვილი, ედიშერ გვენეტაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); ელიკ აქუბარდია (სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი); ქეთევან დავითაია (აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და პროგრამების სამსახურის უფროსი სპეციალისტი); გიორგი პაპაშვილი (გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ცენტრის მეცნიერ - თანამშრომელი).

ჟიული შარტავასა და ზვიად გამსახურდიას იუბილეებს ესსეების კონკურსი მიეძღვნა

ხათუნა შონია



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, საქართველოს ეროვნული გმირების - ჟიული შარტავას (დაბადებიდან 75 წლისთავი) და ზვიად გამსახურდიას (დაბადებიდან 80 წლისთავი) იუბილეებთან დაკავშირებით აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის ესეების კონკურსი გამოაცხადა. ჟიული შარტავას იუბილისადმი მიძღვნილი კონკურსის სახელწოდება იყო - „მშვიდობის გზების ძიებისათვის“ - რა გვაშორებს და გვაახლოებს ქართველებს და აფხაზებს“, ხოლო ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი კონკურსისა კი - ,,ზვიად გამსახურდია - ეროვნული მოძრაობიდან - პრეზიდენტობამდე“.

აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლებიდან წარმოდგენილი საკონკურსო ნამუშევრების შეჯამების შემდეგ, დებულების კრიტერიუმების გათვალისწინებით (თემასთან შესაბამისობა, საკითხის სიღრმისეული გააზრება, ლოგიკური მსჯელობა, ანალიზი, არგუმენტირება, ნაშრომის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნითი ნაწილი), წერის კულტურა) საგანგებოდ ამ კონკურსებისთვის შექმნილმა კომისიამ ხმათა უმრავლესობით სამ-სამი გამარჯვებული გამოავლინა.

ესეების კონკურსში ,,მშვიდობის გზების ძიებისათვის“- რა გვაშორებს და გვაახლოებს ქართველებს და აფხაზებს“ გაიმარჯვეს: ანა კუკავამ - აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ; ანანო გუნიამ - ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ და გალის რაიონის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლემ.

ესსეების კონკურსში ,,ზვიად გამსახურდია - ეროვნული მოძრაობიდან - პრეზიდენტობამდე“ კი გაიმარჯვეს: ანა ცირამუამ, აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ; ქრისტინე პაპასქირმა, აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ და გალის რაიონის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლემ.

გთავაზობთ ერთ-ერთ გამარჯვებულ ესსეს

ზვიად გამსახურდია - ეროვნული მოძრაობიდან - პრეზიდენტობამდე

უმზეო, ყინულეთის ქვეყანაში მზიური რაშით დაჰქროლა უწონადი ხმის ჭაბუკმა, შვიდფერი მშვილდით ესროლა ცეცხლოვანი ისრები მიწაზე მიყინულ კიბოებს, უმშვენიერეს ლოტოსებად აქცია, გულში იმედისმომცემი ცეცხლი დაუნთო და „უკვდავების სახაბაზო“ წააწერა ქალაქის გალავანს ფიქრის ასოებით.

ქალაქის მხსნელი ჭაბუკი ბოროტმა დიდებულებმა ხაროში ჩააგდეს და მიწით ამოქოლეს.

ახდა წინასწარმეტყველება.

ხარო - ხიბულა - ახალი წიწამური.

ასობით ათასი ადამიანი ხან დაჩოქილი, თავჩაქინდრული, გაოგნებული იყო ზვი-ადის მუხანათურად გაწირვის გამო, ხან თავაწეული და უსაზღვროდ ამაყი - მისი სულიერი სიმაღლის, სიწმინდის, მიმტევებლობის და... მისი უკვდავების მარადისობის გამო...

დინების საწინააღმდეგოდ ცურვა სკოლის მერხიდან იწყება. ჯგუფი ,,გორგასლიანი,“ ანტისაბჭოური შინაარსის პროკლამაციები, ზურგში დანა გურამ დოჩანაშვილს („გული ზურგიდან უფრო ახლოა...“) და პირობითი სასჯელით ჩანაცვლებული პატიმრობა.

თხემით ტერფამდე დისიდენტი, მამაცი მეომარი, აქტიურად გამოდის ადამიანის უფლებების, უპირველესად კი ქართველი ერის უფლებების, კულტურის ძეგლების, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად ჰელსინკის ჯგუფის წევრებთან ერთად. დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისათვის აშშ-ს კონგრესი ნობელის მშვიდობის პრემიის ნომინანტად ასახელებს (1978წ).

აქ კი, საქართველოში, ერთი წლით ადრე (1977 წ.) მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხეს, რადგან კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს ის, ვინც არ დგას საბჭოთა პოზიციაზე. დაპატიმრება და 1979 წლიდან ბრძოლა მერაბ კოსტავას გასათავისუფლებლად. დისიდენტობიდან ინაცვლებს ეროვნულ მოძრაობაში და აქტიურდება მიტინგები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით.

და ცხრა აპრილის საბედისწერო ღამე: „და იდგა ფარაი და მიერეკებოდა მწყემსი კეთილი და არ იძვროდა ფარაი იგი და დაჰმორჩილებოდა მწყემსთა ცრუთა და იდგა განწირული“ (ოთარ ჩხეიძე 2002:56).

„მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ - პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობა. გზა თავისუფალი არჩევანისა - რეფერენდუმი.

1991 წლის ცხრა აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა!

ზვიად გამსახურდია - საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი!

„შეირყა ტახტი, ჩამოჯდა თუ არა მაშინვე შეირყა... ტახტი სადგომი წმინდა სულისა. წმინდა არავის არავინ ეგულება. ესროლოს ქვა, ვინც უცოდველია და ყველა ესვრის...“

ბრძანა აყრილიყვნენ...

„ალბათ თვითონ ღმერთი ირჩევს, უცნაური რამეა,

ქრისტეშობა თითქმის მუდამ უცნაური ღამეა...“

„ყველაფერი შეიძლება წაართვა პიროვნებას, ერს, მაგრამ ვერავინ შეძლებს თავისუფლების შეგრძნება წაართვა მას“ (ზ. გამსახურდია).

ამ რწმენით შეუერთდა ზეცას საუკუნის უდიდესი ადამიანი.

რომეო მალაზონია,
აფხაზეთის მე-12 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე.
ქ. ზუგდიდი

ქიული შარტავა - ჩვენი დროის გმირი

მაია შონია



დასაწყისი პირველ გვერდზე

1993 წლის 27 სექტემბრის დილას დაწყებული ეს ისტორია დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზის სცენაზე გააცოცხლა რუსთავის დრამატულმა თეატრმა ჟიული შარტავასადმი მიძღვნილი სპექტაკლით „დაბადების დღე“. პიესის ავტორი - ნინო სადღობელაშვილი, რეჟისორი - სოსო ნემსაძე. სპექტაკლმა მაყურებელს აჩვენა, თუ როგორ იქცნენ ამ დღეს გმირებად აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ჟიული შარტავა და მისი 50-მდე თანამებრძოლი, რომლებმაც უკანასკნელ წუთამდე არ დატოვეს მთავრობის შენობა და ამით ასობით მშვიდობიან მოქალაქეს სოხუმიდან გაღწევის საშუალება მისცეს. სპექტაკლში არაერთხელ გაიელვა იმ დღეს განვითარებული მოვლენების ამსახველმა დოკუმენტურმა კადრებმა, ჟიული შარტავას ბოლო კომენტარებმა და ინტერვიუებმა. „ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი!“ – უთქვამს ჟიული შარტავას იმ უმძიმეს დღეებში. ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ მისი თავგანწირვა გააზრებული და გაცნობიერებული იყო. დღეს კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჟიულიმ მის თაობას „ნამუსი მოწმინდა“, რომ მისი გმირობა მომავალი თაობებისთვის მაგალითია და მისი ხსოვნისადმი პატივის მიგებაც ამ მაგალითის არდავიწყებას ემსახურება. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სახელით რუსთავის თეატრის კოლექტივს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სეგელი გადაეცა.

საქართველოს პირველი ეროვნული გმირის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის დასკვნით საღამოსაც დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზმა უმასპინძლა. საღამო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. ხსოვნის საღამოს დამდგმელი რეჟისორი იყო საქართველოს სახალხო არტისტი **გოგი ქავთარაძე.** სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა წაიკითხეს ციტატები ჟიული შარტავას ჩანაწერებიდან. წარმოდგენილი იყო უმძიმესი დღეების, საათებისა და წუთების ამსახველი ვიდეოკადრები, ასევე ამ მოვლენების მონაწილეთა და ჟიული შარტავას თანამებრძოლთა მოგონებები. საღამოზე გამოჩნდა კადრები დოკუმენტური ფილმიდან „ჩვენი დროის გმირი“, რომელიც 1993 წლის სექტემბრის ბოლოს განვითარებულ მოვლენებსა და ჟიული შარტავასა და მისი თანამებრძოლების ტყვეობაში ყოფნის ფაქტებს ასახავს. უმძიმეს კადრებსა და სულისშემძვრელ სიტყვებს გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელისა და აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრები ენაცვლებოდა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ხონელიძემ ჟიული შარტავას ოჯახს მისი ინიციატივით დაწესებული სპეციალური მედალიონი, წარწერით „სოხუმელი“, გადასცა.

საღამოზე მოსულ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, საზოგადოებას, ჟიული შარტავას ოჯახის წევრებსა და მეგობრებს სიტყვით მიმართეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ.

ვახტანგ ყოლბაია: - ჟიული შარტავასთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა იყო არა თანამდებობა, არამედ ბედისწერა. ბედისწერა, რომლისთვისაც ის დაბადების დღიდან ემზადებოდა; ბედისწერა, რომელიც დასრულდა ამაღლებით. ამიტომაცაა, სიმბოლურად, 27 სექტემბერს დაცემის კი არა, ამაღლების დღეს აღვნიშნავთ, მათ შორის ჟიული შარტავას ამაღლების დღესაც. ჟიული შარტავას არ სჭირდება ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს გვჭირდება ჩვენ, ვინც მის მერე დავრჩით. ეს სჭირდება იმ თაობას, რომელიც ჩვენს შემდეგ მოდის, სჭირდება იმ ხალხს, ვისაც უნდა ახსოვდეს ჟიულის გმირობა და მისი მეგობრების თავგანწირვა. ჟიულის სახელის უკვდავსაყოფად კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

გია გვაზავა: - ყოველ დღე, ყოველ წამს უნდა გვახსოვდეს ჟიული შარტავა და მისი თანამებრძოლები. ქვეყანას, სადაც პატრიოტების სახელები დაიკარგება, მომავალი არა აქვს. დრომ და ისტორიამ ასე ინება, რომ ჟიული ჩამოსულიყო სოხუმში. მან გააზრებულად გადადგა ის ნაბიჯი და დაგვიტოვა მაგალითი, თუ როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა შესწირო თავი მას. მარადიული დიდება ამ დიდ ადამიანს. მე მჯერა, რომ ის ზეციდან უყურებს საქართველოს და იქიდან ლოცავს თავის სამშობლოს.

ზღვის დონიდან 3800 მეტრზე

კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს ჟიული შარტავას სახელი ეწოდა

შალვა ბერიანიძე

საქართველოს ჩრდილოეთ მიჯნაზე აღმოსავლეთ კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს, რომელიც ზღვის დონიდან 3700 მეტრზე მდებარეობს, საქართველოს პირველი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელი ეწოდა.

ინიციატივა - ჟიული შარტავას 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გმირის სახელის უკვდავსაყოფად, კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს მისი სახელი დარქმეოდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას ეკუთვნოდა. ინიციატივას მხარი დაუჭირეს საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა და მთამსვლელებმა. როგორც გაცხადდა, ყველას სურვილი იყო ქვეყანაში ეროვნული გმირის უკვდავსაყოფად მისი სახელობის მწვერვალი გვქონოდა.

შესაბამისად, შარშან, 27 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩახიამ და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტმა შოთა მირიანაშვილმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც აღმოსავლეთ კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალისათვის ჟიული შარტავას სახელის მინიჭებას ითვალისწინებდა.

შემდგომ, ამ ფაქტს პირველი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამოეხმაურა. მალე, 21 სექტემბერს სტუ სათავეში ჩაუდგა ეროვნულ ალპინიადას, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია და თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა - პარტნიორობის მომზადებისა და განათლების ცენტრი.

ექსპედიციამ 4 დღე გასტანა და მისი მარშრუტი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. საბოლოოდ, ექსპედიციის წევრებმა ხდის ხეობაში აღმოსავლეთ კავკასიონზე, ყვიბიშის მყინვართან მდებარე ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი დალაშქრეს. მწვერვალის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 3700 მეტრს აღწევს და მას საქართველოს პირველი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელი უწოდეს.

აღსანიშნავია, მწვერვალის სამომავლო პოტენციალიც, ის ალპინიზმისა და სამთო ტურიზმის ნაწილი გახდება. ეს შესაძლებლობა კი ყველა სიკეთესთან ერთად უამრავ ადამიანს გააცნობს ჟიული შრტავას, როგორც პირველ ეროვნულ გმირს საქართველოში და შესაბამისად, აფხაზეთის პრობლემას, რასაც ის შეეწირა.

ჟიული შარტავასადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში ამავე კომიტეტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით, ზემოთ ხსენებული ალპინიადის მონაწილეებს საპატიო სიგელები გადაეცათ. აქვე გაიმართა ალპინიადის ამსახველი ვიდეოკლიპის პრეზენტაცია. დაჯილდოების ცერემონიალს ოფიციალურ პირებთან ერთად ჟიული შარტავას ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ.

ენა - ურთიერთობის აღდგენისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა

აფხაზური ენის დაცვის კონსტიტუციით განსაზღვრული ნორმის რეალურად ასამოქმედებლად ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. ამ საქმის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოებაც, რომ აფხაზურ ენას დაცვა თვით აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზეც სჭირდება. სწორედ ამ მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, არაერთი პროექტი განახორციელეს. ყველაზე დიდ პრობლემად სასწავლო რესურსის არარსებობა, მათ შორის აფხაზური ენის სახელმძღვანელოების სიმწირე რჩება. ამ ფონზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ წიგნი „აფხაზური ენის სახელმძღვანელო დამწყებთათვის“ გამოსცა. წიგნის შემდგენლები არიან თეიმურაზ გვანცელაძე, რიტა ამიჭბა-მარღანია და ირმა ოსია-კინწურაშვილი. წიგნი ამ ენის შესწავლის მსურველებს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს.

როგორც ცნობილია, აფხაზურ ენას აფხაზეთის საჯარო სკოლებში მოსწავლეები არჩევითი საგნის სტატუსით სწავლობენ. ისინი ამ ენაზე კომუნიკაციის, ლიტერატურის კითხვისა და მცირე სპექტაკლების დადგმის უნარებსაც ეუფლებიან. აფხაზურად მოლაპარაკე საქართველოს მოქალაქეების აღზრდა კი აფხაზურ მხარესთან ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი გზაა.

წიგნის „აფხაზური ენის სახელმძღვანელო დამწყებთათვის“ წარდგენა პირველად ბათუმში, ფერიის დასახლებაში მცხოვრები აფხაზებისთვის შედგა. ეს სახელმძღვანელო მათ დავიწყებული აფხაზური ენის შესწავლაში დაეხმარება. შემდეგ კი წიგნის პრეზენტაცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა და მას ხელისუფლების წარმომადგენლები, მეცნიერები, პედაგოგები და მოსწავლეები დაესწრნენ. გთავაზობთ პრეზენტაციაზე გამომსვლელთა მოსაზრებებს ამ გამოცემასთან დაკავშირებით:

მაია შონია

მანანა ქვაჩახია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი: - წიგნი „აფხაზური ენა დამწყებთათვის“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით გამოსცა. წიგნი ავტორთა ჯგუფმა შეადგინა და ის არის ძალიან მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი. საქართველოში ქართულთან ერთად სხვა ენებიც წარმოადგენენ კულტურულ მემკვიდრეობას. მათ შორისაა აფხაზური ენა, რომელსაც აფხაზებისა და ჩვენდა სამწუხაროდ დასჭირდა დაცვა, განვითარება, მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, რასაც დიდი მონდომებითა და სიამოვნებით ვაკეთებთ უკვე რამდენიმე წელია. ამ მიმართულებით უკვე განხორციელდა პროექტები, რომელთა მიზანი იყო აფხაზური ენის დაცვა-განვითარება და მეტი შესაძლებლობის შექმნა საიმისოდ, რათა აფხაზური ენა გამხდარიყო ცოცხალი ენა, ურთიერთობის ენა. ეს არ არის მარტივი, მაგრამ მთავარია, პროცესი დაიწყო.

მოკლედ ჩამოვთვლი ყველა იმ პროექტსა და ნაბიჯს, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად. თავდაპირველად იყო თვითმასწავლებლის სხვადასხვა დონისა და შინაარსის ელექტრონული ვერსია, რომელიც 2014 წელს გამოიცა. ერთ-ერთი ნაბიჯი იყო სპეციალური ტრენინგმოდულის შექმნა, რომლის შესაბამისადაც აფხაზური ენის პედაგოგები გადამზადდნენ. მათ შორის იყვნენ ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული აფხაზი ეროვნების მასწავლებლებიც. შემდეგი ეტაპი იყო აფხაზეთის საჯარო სკოლებში ენის სწავლების დაწყება. აფხაზური ენა ამ სკოლების მე-9, მე-10 კლასებში არჩევითი საგნად შევიდა.

დღეისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მოსწავლეები ამ ენას სასაუბრო დონეზე ფლობენ. მთავარია, რომ ბავშვებმა მისი შესწავლა დაიწყეს და ამის მსურველი რაც დრო გადის, მით მეტია. წლეულს გვაქვს სიახლე - სექტემბრიდან ერთ-ერთ სკოლაში უკვე საბაზო საფეხურიდან ვგეგმავთ აფხაზური ენის სწავლების დაწყებას. ამის სრული მზაობა გვაქვს. ჩვენ ასევე გვქონდა სხვადასხვა კულტურული პროგრამები, რომლებიც მოიცავდა სპექტაკლებს, სიმღერებს, ცეკვებს, დიალოგებს აფხაზურ ენაზე, რამაც მოზარდებში დიდი ინტერესი გამოიწვია და საგრძნობლად შეუწყო ხელი ამ ენის შესწავლას.

მიუხედავად ამ ეტაპებისა, ჩვენ მაინც გვრჩებოდა და გვრჩება ერთი სიძნელე - ეს არის სასწავლო სახელმძღვანელოს შექმნა. თუმცა მასთან დაკავშირებული პრობლემები ობიექტურია. გადავწყვიტეთ, ალტერნატიული გზა გამოგვენახა და სკოლების დასახმარებლად შეგვექმნა წიგნი და თუნდაც დიალოგის, ცოცხალი საუბრის, ფრაზების დამახსოვრების გზით წავშველებოდით მოსწავლეებს, რომელთაც გადადგეს ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი და ძალიან რთულ ამოცანას შეეჭიდნენ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს გათვლა იყო სწორი. ჩვენ შევძელით და სახელმძღვანელო გამოვეცით.

„აფხაზური ენის სახელმძღვანელო დამწყებთათვის“ უახლოეს მომავალში შევა ყველა იმ სკოლაში, სადაც აფხაზურ ენას ასწავლიან. წიგნი ასევე გაეგზავნებათ ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებს. მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ინიციატივას ხელი შეუწყო. განსაკუთრებული მადლობა ავტორთა ჯგუფს, რომელთაც დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით შექმნეს ეს წიგნი. ჩვენ წელსვე ვიწყებთ ფიქრს წიგნის მეორე ნაწილზე. ველოდებით წინადადებებს, რჩევებსა და კრიტიკულ შენიშვნებს, რაც უფრო სრულყოფილი წიგნის გამოცემაში დაგვეხმარება.

ლია გიგაური, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე: - საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი ოკუპირებულია და ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი ტკივილი. აფხაზურ ენას თავად აფხაზეთის ტერიტორიაზე აქვს დღეს პრობლემა. არაერთხელ მოსულა ჩვენთან ინფორმაცია ევროსაბჭოს ექსპერტებისგან, რომ ეს ენა გადაშენების წინაშეა. ყველამ კარგად ვიცით, რომ აფხაზური ენა ჩვენი ქვეყნის მეორე სახელმწიფო ენაა. ამდენად, მისი დაცვა, განვითარება და შენარჩუნება ჩვენი კონსტიტუციური ვალდებულება და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. 3 წლის წინათ გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და შერიგებისა და თანასწორობის სამინისტროებს შორის და მათ ერთად აიღეს ამ ენის დაცვის ვალდებულება.

ასევე მნიშვნელოვანია მისი პოპულარიზაცია, რადგან ახალი თაობებისთვის შესაძლოა, ამ ენას მართლაც არ ჰქონდეს პრაქტიკული დატვირთვა. ამდენად, ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ აფხაზური ენა გახდეს მოქმედი, ცოცხალი ენა. რაც მთავარია, ჩვენ ამ ენის დაცვით უნდა შევინარჩუნოთ დიდი კულტურა და ღირებულებები, რაც ასეთი დიდი რუდუნებით მოგვიტანია აქამდე. როდესაც რესურსები იქმნება, ეს არის იმის მექანიზმი, რომ უფრო მეტ ადამიანს ჰქონდეს ენასთან წვდომა, ჰქონდეთ საშუალება, ისწავლონ აფხაზური ენა. აფხაზური ენის შესწავლა არის ყველაზე კარგი გზავნილი იმისა, რომ ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, საერთო კულტურა, წარსული და ღირებულებები გვაქვს, შეგვიძლია ერთსა და იმავე ენაზე ვილაპარაკოთ და ეს ენებია ქართული და აფხაზური. ამ ენებით უნდა შევინარჩუნოთ კომუნიკაცია და შერიგებისკენ გადავდგათ ნაბიჯები. ფაქტია, რომ აფხაზურენოვანი რესურსების დეფიციტი გვაქვს და ეს დეფიციტი უნდა

შეივსოს.

გია გვაზავა, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე: - კონსტიტუციით აფხაზური ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება ადვილად მისაღები გადაწყვეტილება არ იყო. ჩვენმა ერმა დიდი სიბრძნე გამოიჩინა, რომ ეს ნაბიჯი გადადგა. ომი ახალი დამთავრებული იყო, მაგრამ ქართველმა ეს მაინც შეძლო. აფხაზური ენის შესწავლის მიმართულებით ბევრი რამეა გაკეთებული. ძალიან მომწონს ანიმაციური ფილმი აფხაზური ენის შემსწავლელთათვის. ეს წიგნიც ძალიან დიდი მონაპოვარია. ჩვენ უნდა გადავარჩინოთ აფხაზური ენა. ამიტომ აუცილებელია ამ პროგრამის არსებობა და კარგია, რომ ჩვენი ბავშვები ამას გაგებით ეკიდებიან. ეს არის სიყვარული, რომელსაც ჩვენ ერს ვერა ძალა ვერ გაუქრობს.

თეიმურაზ გვანცელაძე, პროფესორი: - წიგნი „აფხაზური ენის სახელმძღვანელო დამწყებთათვის“ განკუთვნილია ნებისმიერი ქართულენოვანი მკითხველისათვის, რომელსაც სურს აფხაზური ენის შესწავლა. წიგნში თემები იწყება უმარტივესი მასალით და თანდათან რთულდება, მაგრამ ეს სირთულე დაძლევადია. ის ბგერები, რომლებიც მხოლოდ აფხაზურში ისმის და სხვა ენებში არ გვხვდება, განმარტებულია. ტექსტებს ახლავს აფხაზური და ქართული თარგმანებიც. თითოეულ ტექსტს დართული აქვს თავისი ლექსიკონი. სიტყვები, რომლებიც ტექსტებში მეორდება, ლექსიკონებშიც მეორდება, რათა მოხდეს მათი კარგად ათვისება. ამ წიგნით ნებისმიერ ადამიანს პედაგოგის დაუხმარებლადაც შეუძლია ამ ენის შესწავლა. თუმცა, თუ პედაგოგი ჩაერთვება სწავლების პროცესში, რა თქმა უნდა, უმჯობესია.

ამ წიგნის გამოცემა არის აფხაზური ენის დაცვის ღონისძიება. ეს კონსტიტუციით განსაზღვრული ნორმაა, რაც ვალდებულებებს წარმოშობს, რომლებიც უნდა შევასრულოთ. წიგნი გამოადგებათ აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს, რომლებიც იქ XIX საუკუნიდან ცხოვრობენ და მშობლიური ენა დავიწყებული აქვთ. სახელმძღვანელო ასევე გამოადგებათ აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, რომლებიც უკვე სწავლობენ აფხაზურ ენას. მასწავლებლები კმაყოფილებას გამოთქვამენ, რადგან აქამდე არ არსებობდა აფხაზური ენის სახელმძღვანელო ქართულენოვანი მკითხველისათვის. წიგნში თუ ხარვეზებია, ამასაც დრო გვიჩვენებს და შევეცდებით, ესეც გამოვასწოროთ.

ირმა ოსია-კინწურაშვილი, ჟურნალისტი: - აფხაზური ენის შემსწავლელი ანიმაციური ფილმი რომ გამოვიდა, ერთ-ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა გუდაუთიდან მითხრა, რომ ჩემი შვილი ამ დისკით სწავლობს აფხაზურ ენასო. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს დისკიც და ეს წიგნიც იმათაც სჭირდებათ. აფხაზურად ვთარგმნეთ დავით მაღრაძის, ნოდარ დუმბაძის, შორენა ლებანიძის ნაწარმოებები და მათ უკვე აფხაზეთში კითხულობენ. შორენამ ლებანიძემ თავისი წიგნის ერთ გმირს სახელი შეუცვალა. როცა ეს წიგნი იქ წაიკითხეს, წიგნის რეალურმა გმირმა შემოგვითვალა, კიდევ თუ გამოვა ეს წიგნი, ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი დაწერეთო. ერთი ჩემი ნაცნობი მეუბნებოდა, ჩვენ ქართველებს ვეხვეწებით, როცა ცუდად ვართ, ხოლო როცა კარგად ვართ, ხმას არ ვიღებთო, ანუ ვიცით, რასაც აკეთებთ ჩვენთვისო. იქ ყველაფერს ხედავენ, აფასებენ, მაგრამ პოლიტიკას თავისი გააქვს და ხმამაღლა ვერაფერს ამბობენ. იმედი გვაქვს, ვისთვისაც კეთდება ეს ყველაფერი, ისინი ამას დააფასებენ და ჩვენთან კონტაქტსაც დაამყარებენ.

რიტა ამიჭბა-მარღანია, პროფესორი: - იმდენს, რამდენსაც აფხაზეთის ა/რ მთავრობა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო აკეთებენ აფხაზური ენის განვითარებისთვის, აფხაზეთში არ აკეთებენ. მადლობის გარდა რა გვეთქმის მათთვის და იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ პროგრამებს უჭერს მხარს. მე მასწავლებელი ვარ და ვიცი, რასაც ნიშნავს, როცა ადამიანს მშობლიურ ენაზე ეუბნები - გამარჯობას, ამით ის უფრო ახლობლად მიგიჩნევს. ამდენად, აფხაზური ენის დაცვას ამ თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ გვაქვს საერთო მომავალი, რომელიც ჩვენ თვითონ უნდა ავაშენოთ. ამ პატარა საქმით, მიმაჩნია, რომ პატარა ხიდს ვაშენებთ ჩვენ შორის. წიგნის სტრუქტურა ძალიან კარგია. წიგნში შესულია თემები - ოჯახი, მეგობრობა, ჩემი მეზობელი, ჩემი სოფელი, ჩემი ქალაქი, სპორტი, შვილი, რომელთა გათამაშება შეიძლება. მადლობა თეიმურაზს და ირმას გაწეული შრომისთვის.

ალა კვეკვესკირი, აფხაზეთის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი: - წიგნი ბრწყინვალედ არის შედგენილი. რაც მთავარია, ის მარტივ და გასაგებ ენაზეა დაწერილი. ამ წიგნით, ვისაც აფხაზური ენის შესწავლა სურს, მასწავლებლის, რეპეტიტორის გარეშეც შეუძლია ისწავლოს ენა. წიგნის პირველ ნაწილში გაკვეთილებია, სადაც იქვეა თარგმნილი ყველა სიტყვა. ძალიან რთული ენაა, გამოთქმა არის ურთულესი, მაგრამ ბავშვები დიდი მონდომებით სწავლობენ მას. ამ წიგნით ბევრს მივაღწევთ. მადლობა შემდგენლებს.

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: - მეამაყება, რომ კარგ შედეგებს მივაღწიეთ აფხაზური ენის სწავლების კუთხით. მოსწავლეებმა საოცარი გრძნობით წაიკითხეს აფხაზურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები. იგრძნობოდა, რომ ამ ორი-სამი წუთის განმავლობაში მათ იცხოვრეს ამ ნაწარმოების გმირების ემოციებით. მადლობა სკოლის დირექტორებს და პედაგოგებს, რომ შეძლეს ბავშვებისთვის აფხაზური ენის შეყვარება. აფხაზური არჩევითი საგანია და უკვე მისი შესწავლის სურვილი ბევრმა გამოთქვა. გაწეული შრომისთვის მადლობას იმსახურებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

პრეზენტაციაზე აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა აფხაზურ ენაზე წაიკითხეს ნაწყვეტები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“.

მას სოხუმი ეკრნახოდა სათქმელ

მაია შონია

ძნელია, პოეტების ქვეყანაში გამორჩეული პოეტის სახელიც დაიმკვიდრო და მასთან ერთად საზოგადო საქმეებიც აკეთო. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა გენო კალანდია - შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატი, 30-მდე პოეტური კრებულისა და დრამატული პიესის ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი. წლეულს პოეტს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გამართულ საღამოს დიმიტრი ჯაიანის სახელობის დარბაზმა უმასპინძლა. საღამო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა. საღამოს რეჟისორი იყო გოგა თავაძე.

მწერლები, პოეტები, მსახიობები, მეგობრები, ხელისუფლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ წაეკითხათ გენო კალანდიას ლექსები, გაეხსენებინათ მის მიერ გაკეთებული საქმეები, მასთან ერთად გატარებული სასიამოვნო დღეები თუ მძიმე წუთები, რომელიც აფხაზეთს, სოხუმის დაცემასა და უღელტეხილის გამოვლით გაგრძელებულ ცხოვრების გზას უკავშირდება.

საღამოს უძღვებოდა მწერალი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე. პოეტის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა **ელდინო საღარაძემ, მურმან ჯინორიამ,** სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობებმა. მუსიკალური ნომრები შეასრულეს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „აფხაზეთმა“, გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ, ჯანსუღ კახიძის სახელობის ორკესტრის კვარტეტმა. მაყურებლის თვალწინ გაიელვა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველმა კადრებმაც. აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა საგანგებოდ ამ მოვლენისთვის გენო კალანდიას სონეტების კრებული გამოსცა.

როსტომ ჩხეიძე, მწერალი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი: - გენო კალანდია როგორც შემოქმედი, კვლავაც აგრძელებს სიცოცხლეს. მისი ნატიფი, დახვეწილი სიტყვა, მისი ექსპრესიული, ტკივილით გაჯერებული ლექსები, მისი ათასგვარი ფიქრით აღსავსე წიგნები დღესაც სჭირდება და კვლავაც დასჭირდება წიგნიერ საზოგადოებას. ვახსენებთ ბატონ გენოს და არ შეიძლება არ გავიხსენოთ მისი ძმები, აწ განსვენებული რენე და ზაური, რომელიც ჩვენთან ერთად იზიარებს სევდასაც და სიხარულსაც. ძმებისგან განსხვავებით, ზაური პროზაიკოსი გახლავთ, შესანიშნავი მინიატურებისა და მოთხრობების ავტორი, მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი რომანები, რომელთაც დიდ წარმატებას მიაღწიეს. რაც შეეხება რენეს და გენოს, ისინი ლიტერატურული ანტიპოდები იყვნენ. განსხვავებული სტილის შემოქმედნი. გენო ინარჩუნებდა კლასიკურ ჰარმონიას, კლასიკურ ფორმებს და ამ ფორმაში ცდილობდა ჩაეღვარა ახალი სათქმელი. რენე ამსხვრევდა კლასიკურ ლექსს, ამსხვრევდა რიტმებს, მაგრამ საბოლოოდ ორივენი ერთი მიზნისკენ ისწრაფოდნენ, რადგან ორივე ქმნიდა ნამდვილ ლიტერატურას, ნამდვილ პოეზიას. როცა გენო კალანდია გამოჩნდა ლიტერატურის ასპარეზზე, მან თავიდანვე მიიქცია ყურადღება, რაც ხშირად არ ხდება ხოლმე. თავიდანვე იყო პოპულარული, თავიდანვე მოიპოვა სახელი, ჰქონდა ძალიან დახვეწილი სიტყვა, დახვეწილი ლექსი. მაგრამ სხვა განზომილებაში გადავიდა, როცა გამოვიდა მისი ლექსების ციკლი აფხაზეთზე „რეკვიემი“. აქ უკვე სულ სხვა გენო გამოჩნდა. ბოლო პერიოდის ლექსების ციკლი იყო „საგალობლები“. აქ კიდევ ახალი ასპექტით განათდა და კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ჩვენს თვალწინ შეიცვალა პოეტის ფენომენი. ადრე პოეტები ახალგაზრდობაში წერდნენ თავიანთ საუკეთესო ლექსებს, ახლა ასაკი შეიცვალა და შემდეგაც ინარჩუნებენ ამ მუხტს. გენო კალანდიამაც ბოლო პერიოდის ლექსებით კიდევ ერთხელ გაიბრწყინა.

როცა გენო კალანდიას „საგალობლებს“ ვკითხულობ, მახსენდება უილიამ ფოლკნერის სიტყვები ერნესტ ჰემინგუეიზე - ჰემინგუეი მთელი ცხოვრება განდგომილი იყო ღმერთისაგან, მერე დაიწყო მისი ძიება, იპოვა ღმერთი და კიდეც აღესრულაო. თითქოს ეს მოდელი განმეორდა გენო კალანდიას ცხოვრებაშიც. მან დაიწყო ღმერთის ძიება, იპოვა და კიდეც აღესრულა, მაგრამ დატოვა ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეული მემკვიდრეობა. კიდევ ერთხელ ვახსენოთ ეს ძვირფასი პოეზია, ეს მონაპოვარი ჩვენი ლიტერატურისა, კიდევ ერთხელ გავუზიაროთ ერთმანეთს ფიქრი და აღტაცება გენო კალანდიაზე. ძალიან ბევრი ადამიანია დავალებული ბატონი გენოსგან. ყველა, ვისაც უყვარდა ლიტერატურა, იყო მისი და და ძმა. ყოველთვის ცდილობდა ყველანაირად შეეწყო მათთვის ხელი. ის იყო არა მარტო პოეტი, არამედ მოღვაწე კაცი და მისთვის არა მხოლოდ ის იყო მნიშვნელოვანი, რას წერდა თვითონ, არამედ ისიც, თუ რა იქმნებოდა გარშემო. ერთ-ერთი ის ახალგაზრდა კაცი, ვისაც მხარში ედგა და მის მეგობრად ეგულებოდა, იყო გურამ ოდიშარია, რომელმაც აფხაზეთის ტრაგედია გამოხატა ლექსითაც და პროზითაც. გენოს მოსწონდა ის, რომ გურამის შემოქმედება იყო გზების ძიება, ხიდების აღდგენის მცდელობა.

გურამ ოდიშარია, მწერალი: - მეცხრე კლასში ვიყავი, როდესაც გენო კალანდია გავიცანი. 50 წელი გასულა მას შემდეგ და ვფიქრობდი ამ დღეებში, რომ ის არასდროს დაბერდებოდა, რამდენი წლისაც არ უნდა გამხდარიყო. მისი სულის მდგომარეობა იყო ახალგაზრდული. გენო ამ ქვეყნიდან წავიდა ახალგაზრდა. როდესაც გავიცანი, რაიონულ გაზეთში მუშაობდა და ჩემი ერთი ლექსი მივუტანე დასაბეჭდად. ყველა თითო ლექსით იყო წარმოდგენილი და თან არ იყო დიდი გაზეთი. ვიცი, რომ ბევრი გაქვს დაწერილი და კიდევ მოიტანეო. მართლაც, გამოდის გაზეთი, სადაც ლამის ნახევარი გაზეთი დათმობილი აქვს ჩემს ლექსებს, არის ჩემი ფოტო და გენო კალანდიას დალოცვა, ფეხბედნიერი იყოს შენი შეხვედრა მკითხველთანო. ის მაშინ სულ რაღაც 30 წლის იყო. მალე გამაცნო რენეც და ჩემი შემდგომი ცხოვრება გენოსთან, რენესთან, ზაურთან ერთად გავატარე. დღემდე ასე გრძელდება. მე მაინც ყველაზე მეტად მიყვარს ლექსები, რომელიც მან სოხუმში დაწერა. გენო ჩემთვის ყველაზე ფერადოვანი, აკვარელის პოეტია, რომელმაც თავის პოეზიაში შეიტანა ზეთისხილის ბაღი, ათონი, სეკვოიები. სოხუმი და გენო იყვნენ ერთმანეთთან სულიერად ძალიან ახლოს. მას სოხუმი კარნახობდა სათქმელს. ის მის გათენებაზე, მის დაღამებაზე წერს და არის სრულიად გულწრფელი. გენომ მხატვრულ პოეზიაში გააკეთა ის, რაზეც წერდა გალაკტიონი. გალაკტიონი წერდა, ჩვენ, ქართველი პოეტები ჩავდივართ ზღვაზე და ჩვენი ლექსები ჰგავს ტურისტული შთაბეჭდილებებით დაწერილ ლექსებსო. ჩვენი მხატვრებიც მუქი ფერებით ხატავდნენ და გენო სულ აძლევდა შენიშვნას. ის იყო სინათლის კაცი. მე გენო უღელტეხილზე ვნახე. იქამდე იყო ომი. გენოს პოეზია ომის შემდეგ სხვანაირი გახდა. როცა ვნახეთ, როგორ ტივტივებდნენ ზღვაში ცხედრები, როგორ იწვოდა სასტუმრო რიწა, პალმები, რომლებზეც ჩვენ ლექსებს ვწერდით, ყველაფერი შეიცვალა. ის არა მხოლოდ პოეტი იყო, არამედ შესანიშნავი ადამიანი, რომელმაც იცოდა, ვის როდის ამოსდგომოდა მხარში. 26 სექტემბრის ღამე გენომ, მე და გურამ ფანჯიკიძემ მამაჩემის სახლში გავათენეთ. ის იყო უკანასკნელი ღამე, როცა ერთად დავლიეთ წითელი ღვინო, ბატონი გურამი გამოვაცილეთ გემით და ჩვენ უღელტეხილის გზას შევუდექით. მე ბედნიერი ვარ, რომ გენო კალანდიას შევხვდი ჩემს ცხოვრებაში. მისი წასვლის შემდეგ თითქოს მისი ბგერები დააკლდა ჩვენს ცხოვრებას. მისი წასვლის შემდეგ დიდი სიცარიელეა. ვფიქრობ, ერთ რომელიმე დღეს მისი ლექსების კითხვა უნდა მოვაწყოთ, უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა ჰქონდა მას, რაც არ ჰქონდათ სხვა პოეტებს. მისი იდეები ახალ თაობებს უნდა გადაედოს. მინდა, რომ გენო კალანდიას პოეზია შევუნახოთ ყველას და მისი სისხლი გადავუსხათ ახალგაზრდებს.

მაკა ჯოხაძე, მწერალი: - პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, პოეტები სხვა კასტაა, სხვა ჯიშია, სხვა მენტალობაა თავისი გულის ძგერით და ერთგულებით მამულის, ენის, სარწმუნოებისადმი. რა მაღალი რანგის უნდა იყოს პოეზია, კათარზისი რომ განგაცდევინოს. გენოს „რეკვიემი“ საშიში ნიჟარაა. ახლაც მიკვირს, როგორ გავუძელი ამ ნიჟარაში დატეულ მეხთატეხას, ღამეული ზღვის საშინელ ღმუილს, ზვირთების შემოტევას. შუბლგახვრეტილი ბიჭები, სამოსელშემოხეული ქალები, ნიჟარებში მოგუდული ხმები... გენოს კოლხი, ფორთოხლისფერი, მზისფერი ქალები, რომლებიც სხეულდამდნარ სიდონიებად, ოფელიებად, ანტიგონეებად იქცნენ და მიუხედავად ამ მძიმე კოშმარული ხილვებისა, გენო არ გამოშრა, არ გამოიფიტა. ყოველივე ამის გადატანას ადამიანები ვერ უძლებენ. გენომ გამოიარა საკენ-ჭუბერის გოლგოთა და მადლობა ღმერთს, გაუძლო. სულ ვფიქრობდი, როგორ უნდა გამოსულიყო ამ ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან და ერთი პოეტური განზომილებიდან როგორ შესულიყო ახალ განზომილებაში. ღვთის წყალობით ის ამას მოერია. ნელ-ნელა შედიოდა რწმენაში და ძლიერდებოდა. „რეკვიემის“ სულისშემძვრელი თავგადასავლების შემდეგ თითქოს რაღა უნდა ყოფილიყო მკითხველის ინტერესის ღირსი. მაგრამ ის ასე ნელ-ნელა უახლოვდებოდა „საგალობლების“ კარიბჭეს.

რეზო ამაშუკელი, პოეტი: - თან მაქვს კრიალოსანი, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასმა ადამიანმა, ჩემმა უმცროსმა ძმამ მაჩუქა. ის სულ ხელში მიჭირავს და ისიც ჩემთანაა ყოველთვის. მე და დიმა ერთად მოვედით ამ საღამოზე. მე ყოველთვის ვამაყობდი და ვიამაყებ იმით, რომ გენო იყო ჩემი უახლოესი მეგობარი, იყო ჩემი ძმა. ბევრს სხვანაირი პოეზია მოსწონს, მე ერთი რამ ვიცი, გენო კალანდია იყო ქართული პოეზიის უდახვეწილესი არისტოკრატი და რაფინირებული ადამიანი. როცა ვლაპარაკობ გენოზე, ვლაპარაკობ ჩემს სამშობლოზე. აფხაზეთის გარეშე კი ჩემი სამშობლო არ არსებობს. ბაბუაჩემს თუ უნდოდა ვინმეზე ეთქვა, რომ არის ზრდილი, ვაჟკაცი, ლამაზი, გონიერი, ორ სიტყვას იტყოდა - ნამდვილი აფხაზიაო. ამით ყველაფერი ნათქვამია. ქართული პოეზია წარმოუდგენელია გენო კალანდიას გარეშე. ის იყო ყველაზე დიდი გულშემატკივარი იმ აფხაზეთისა, რომლის გარეშეც ჩემი სამშობლო წარმოუდგენელია. სანამ ის თაობა ცოცხალია, რომელსაც ახსოვს საქართველო და გენო კალანდია, მანამდე უნდა გაკეთდეს ყველაფერი. ღმერთი მომასწრებს იმას, რომ სოხუმში ჩავალ და იქ იქნება ერთი ძალიან დიდი ქუჩა თავისი ბიუსტით, სადაც იქნება გენო კალანდია. სანამ პირში სული მიდგას, ის ყოველთვის იქნება ჩემთან. მე ვამაყობდი იმით, რომ მე მის გვერდით ვიდექი და ის ჩემს გვერდით იდგა.

გენო კალანდიასა და დიმა ჯაიანის, საქართველოს სახალხო არტისტის მეგობრობაზე და შემოქმედებით ურთიერთობაზე ისაუბრა **ჯაბა ჯაიანმა,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ და გენო კალანდიას ერთ-ერთი საგალობელი წაიკითხა.

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: - რაც დრო გადის, მით უფრო ვგრძნობთ, როგორ შეეძლო ამ ადამიანს თავისი პოეზია კიდევ უფრო ახლოს მოეტანა ჩვენამდე. მახსოვს მისი ჩახლეჩილი, ომახიანი ხმა.



ის უყვარდა საზოგადოებას. როგორ ვამაყობდით აფხაზეთიდან წამოსული ადამიანები, რომ ასეთი პოეტი გვყავდა. გამოვეცით მისი პოეზიის კრებული, რომელშიც გენოს აქამდე უცნობი ლექსები შევიდა. მე ვამაყობდი და ვამაყობ იმით, რომ გენო კალანდიას 40 წელი ვიცნობდი. ვიცნობდი არა მხოლოდ როგორც პოეტს, არამედ სტუმართმოყვარე ადამიანს, მასპინძელს, რომლის ჭიშკარიც ყოველთვის ღია იყო სტუმრებისთვის, მათთვის, ვისაც პოეზია და სოხუმი ერთნაირად უყვარდა. ის მუდამ დარჩება ჭაღარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა პოეტად, მოქალაქედ და მოღვაწედ.

სოხუმის თეატრს უკვე საკუთარი ქერი აქვს

ქეთი სამნიაშვილი, შალვა ბერიანიძე

,,ცხოვრება თეატრიაო", - შეესპირმა თქვა და როგორც ცხოვრებაში, ისე თეატრში, ზოგს ბედნიერი მოხუცის როლი სურს, ზოგს ლაღი ბავშვისა ან ყურებამდე შეყვარებული ჭაბუკის, ნაწილს - მეოცნებე ქალის, ნაწილსაც - უსახლკაროსი, ვიღაცა მუშტებზე იყურება და მიიჩნევს, რომ ,,ღონიერი ყმაწვილის" როლს კარგად ითამაშებდა. მსახიობებსაც აქვთ ნატვრები, ზოგი დიდ სცენაზე ოცნებობს, ზოგი დიდ როლზე, მხოლოდ მსახიობების იშვიათ ნაწილს ენატრება მშობლიური თეატრის კედლები და სცენის მტვერი, ახლობელი მაყურებელი.

სწორედ ამგვარ იშვიათ მსახიობებს აერთიანებს სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც 130 წლის წინათ სოხუმში დაარსდა. თეატრმა შავი ზღვის ხიბლთან და მაყურებელთა გულწრფელ სიყვარულთან ერთად ბევრი ქარ-ცეცხლი გამოიარა და დიდი კულტურის მქონე თეატრს დაუდგა პერიოდი, როდესაც დევნილობის გამო თბილისის სხვადასხვა თეატრს აფარებდა თავს და იქ დგამდა სპექტაკლებს.

თუმცა წლეულს, მდიდარი წარსულისა და უხვი თეატრალური ტრადიციების მქონე სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა დევნილობის თანამდევი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოცნება აისრულა, მას გადაეცა განახლებული დარბაზი, რომელსაც დიმიტრი ჯაიანის სახელი ეწოდა. დარბაზი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შენობაშია განთავსებული,

ის 254 ადგილიანია და მოიცავს კეთილმოწყობილ სცენას, საგრიმიორო ოთახებსა და საშხაპეებს. აქ თითქმის ყველაფერია სიხარულისთვის, მაგრამ დასის წევრები ვერაფერს უხერხებენ გულის სიღრმეში დაბუდებულ ტკივილს, რადგანაც ისევ შორია სოხუმამდე და მშობლიურ სახლამდე.

ეს მნიშვნელოვანი დღე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ**. მან თეატრის მიერ გავლილი ვრცელი და საინტერესო გზა და განსაკუთრებით ის პერიოდი გაიხსენა, როცა დასის ქართველი და აფხაზი მსახიობები გვერდიგვერდ თანაცხოვრებდნენ და თამაშობდნენ სპექტაკლებში. ამ ფაქტის თვალსაჩინო მაგალითად კი სოხუმში დაბადებული ცნობილი მსახიობის გურანდა გაბუნიას სიტყვები მოიხმო: „მე მახსოვს, აფხაზი მსახიობი ლეო კასლანძია ერთ დღეს ოტელოს თამაშობდა ქართულად, ხოლო მეორე დღეს კი აფხაზურ ენაზე წარდგებოდა მაყურებლის წინაშე მთელი თავისი გასაოცარი განწყობითა და ემოციებით".

„დიდი სიამაყის გრძნობით მინდა განვაცხადო, რომ შენობას, სადაც ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით, ამიერიდან მოვიხსენიებთ, როგორც ქართულ-აფხაზური კულტურის კერას. დღევანდელი დღე - 2019 წლის 12 თებერვალი - სოხუმის თეატრის უახლეს, 25-წლიანი დევნილობის ისტორიაში განსაკუთრებულ და ღირსშესანიშნავ თარიღად შევა - დღეიდან სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი საკუთარ სპექტაკლებს აქ, ამ კეთილმოწყობილ დარბაზში, ანუ საკუთარ სცენაზე წარმოგვიდგენს.

სოხუმის თეატრის სცენაზე წლების განმავლობაში მრავალი გამოჩენილი მსახიობი მოღვაწეობდა, მათ შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო დიმა ჯაიანი. წარმომიდგენია, როგორ გაიხარებდა იგი დღეს, რა ცეცხლს დაანთებდა მის ამ დიდი ხნის ნაოცნებარ სცენაზე და როგორი ემოციით, ცრემლნარევი ხმით შემოსძახებდა ყველა დროისა და ეპოქის ქართველისა და აფხაზის გასაგონად - „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ".

ვულოცავ ამ დიდებულ დღეს თეატრალური დასის თითოეულ წევრს, მის ხელმძღვანელობას და თითოეულ თქვენგანს", - განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **მანანა ქვაჩახიამ** ასევე მიულოცა სოხუმის თეატრის დასსა და მის მაყურებელს ეს მოვლენა. მისი თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს არ იქნება მხოლოდ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დარბაზი, არამედ ის ასევე დაეთმობა სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრს და სხვა დევნილ შემოქმედებით კოლექტივებს. ეს შენობა ქართულ-აფხაზური კულტურის ცენტრად იქცევა რომლის მიზანი აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა, შენარჩუნება და განვითარებაა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დარბაზის განახლება შესაძლებელი გახდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას ძალისხმევით, რისთვისაც მას მადლობა გადაუხადა. ამასთანავე დიდი გულისტკივილით აღნიშნა, რომ ამ დღეზე ოცნებობდა და ვერ მოესწრო საქართველოს სახალხო არტისტი, სოხუმის თეატრის მსახიობი, შემდეგ კი მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, ღირსების ორდენის კავალერი **დიმიტრი ჯაიანი** და სთხოვა დამსწრეთ, ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თეატრს გამოუგზავნა მილოცვის წერილი, რომელიც სამთავისისა და კასპის ეპარქიის მღვდელმთავარმა **ეპისკოპოსმა დამიანე ხუფენიამ** წაიკითხა: „სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს ვულოცავ განახლებულ დარბაზს. ვიმედოვნებ, ქართულ-აფხაზური კულტურის ეს ცენტრი, რომელიც რამდენიმე მიმართულების განვითარებას შეუწყობს ხელს, პრიორიტეტად დაისახავს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსა და აფხაზეთის მხარის ისტორიულად წარმოჩენას, რითაც ამაღლდება ჩვენი საზოგადოების ცნობიერება. ღმერთმა დალოცოს თეატრის დირექტორი **დავით საყვარელიძე** და თეატრის დასი, ღმერთმა დალოცოს აფხაზეთის მთავრობა და ყველა ადამიანი ვინც ქვეყნის კეთილდღეობისათვის იღვწის!"

მილოცვებს რეჟისორ **სანდრო მრევლიშვილის** განსხვავებული გამოხმაურება მოჰყვა. მან, სამწუხაროდ, საპატიო მიზეზის გამო, ვერ მოახერხა საღამოზე დასწრება და ამდენად, მისი წერილი საღამოს წამყვანმა **გიორგი გასვიანმა** წაიკითხა: „დროებითი თავის მიდრეკა არ ნიშნავს ახალსახლობას, მხურვალედ მოგილოცავთ მაშინ, როცა სახლში ვიზეიმებთ ახალსახლობას, უფრო სწორედ სახლში დაბრუნებას. მე ვერავინ წამართმევს წარსულს, ვერავინ წამართმევს სოხუმის თეატრში გატარებულ წლებს, ისევე როგორც ვერავინ წამართმევს სოხუმს და მთლიანად აფხაზეთს, ეს საქართველო იყო, არის და იქნება, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე!"

საზეიმო საღამოზე ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ-მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა **დიმიტრი ხვთისიაშვილმა** სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, პატრიოტული იდეოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გადაწყვეტილებით, განსაკუთრებული ჯილდო ,,მაჩაბელა" გადასცა.

დამსწრე საზოგადოებას ასევე სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა **გიორგი ვოლსკიმ**, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ **მიხეილ გიორგაძემ,** საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა **ლაშა ჟვანიამ,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ელგუჯა (გია) გვაზავამ**, სოხუმის თეატრის ოქროს ხანად წოდებული პერიოდის სამხატვრო ხელმძღვანელმა **გიორგი ქავთარაძემ** და სხვ. გამომსვლელებმა გაიხსენეს თეატრის სოხუმში მოღვაწეობის მდიდარი ისტორია, ასევე, მათ მიერ დევნილობაში გატარებული ის პერიოდი, როდესაც საკუთარი დარბაზის უქონლობის გამო შეკედლებული იყო მარჯანიშვილის, რუსთაველის, ახმეტელის, სამეფო უბნისა თუ თავისუფალ თეატრებს და სპექტაკლების გამართვა მათ სცენებზე უწევდა.

საღამოზე ნაჩვენები იყო 1953 და 1983 წლებში სოხუმის დრამატული თეატრის ცხოვრებაზე გადაღებული დოკუმენტური კადრები, რამაც დიდი ნოსტალგია გამოინვია.

დასასრულ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით დარბაზს საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენისა და უკრაინის პრესტიჟის ორდენის კავალერის, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის ყოფილი მინისტრის დიმიტრი (დიმა) ჯაიანის სახელი მიენიჭა.

საღამოს მუსიკალურ თანხლებას უნევდნენ: გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსაბლი „აფხაზეთი", ჯგუფი „ფორტე", „თეატრალური კვარტეტი", ნეკა სეფისკვერაძე, ნუკრი კაპანაძე და სოფო ბათილაშვილი.

საღამოს ბოლოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და სოხუმის თეატრის ყოფილმა სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, მსახიობმა გოგი ქავთარაძემ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ დავით საყვარელიძეს ახალი დარბაზის სიმბოლური გასაღები გადასცეს.

თეატრი, მისიით - ახალგაზრდობას არ დაავიწყოს სოხუმი!

შალვა ბერიანიძე

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზე სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის „თეთრი ტალღა" დაარსებიდან 30 წლისა და მისი დამფუძნებლის, საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი რატიანის სასცენო მოღვაწეობის 65 წლის იუბილე აღინიშნა.

საიუბილეო საღამო ნოდარ დუმბაძისა და გურამ ოდიშარიას ,,გამარჯობა, სოხუმოს!" მინიატურული დადგმით გაიხსნა (რეჟისორი გიორგი რატიანი). შემოქმედებითი საღამოს მსვლელობისას თეატრის დამაარსებელმა გიორგი რატიანმა მოიგონა, თუ რა რთულ პირობებში დააფუძნა მან 1988 წელს თეატრი, თუ როგორ გადააკეთეს იმ დროისთვის სოხუმის მასწავლებელთა სახლის კინოდარბაზი თეატრის სცენად და დადგეს პირველი სპექტაკლი იოზებ კალაბის პიესის მიხედვით - „ჩვენი ეზო". სპექტაკლის პრემიერა 1991 წლის 10 მაისს გაიმართა. თეატრს კიდევ ერთი პრემიერა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა 14 აგვისტოს ომი დაიწყო და თეატრის სოხუმური ცხოვრება გაწყდა... საიუბილეო საღამოზე უჩვენეს გიორგი რატიანის მიერ შესრულებული როლების რეტროსპექტივა და მაყურებელმა თვალი გადაავლო მის 65 წლიან სასცენო შემოქმედებას.

საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, რომელმაც კიდევ ერთხელ აღნიშნა თეატრის საქმიანობის მნიშვნელოვანი როლი და მადლობის სიგელები გადასცა საქართველოს სახალხო არტისტს გიორგი რატიანს და სოხუმის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს მიხეილ რატიანს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა (გია) გვაზავამ მიხეილ რატიანსა და გიორგი რატიანს, ასევე, თეატრის მსახიობებსა და ტექნიკურ პერსონალს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები გადასცა.

,,თეთრი ტალღის" მსახიობები სხვადასხვა ნომინაციებით დააჯილდოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩახიამ, მან მადლობა გადაუხადა გიორგი რატიანს გაწეული საქმიანობისათვის და თქვა: ძალიან მალე ერთად ჩავსულიყავით სოხუმში და გვეთქვას: ,,გამარჯობა, სოხუმო!"

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ გიორგი გეგეჭკორმა თეატრის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გიორგი რატიანს „სერგო ზაქარიაძის სახელობის პრემია" გადასცა, ხოლო თეატრ ,,თეთრი ტალღას" კი - მადლობის სიგელი. ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა მიხეილ და გიორგი რატიანებს და თეატრალური დასის მსახიობებს სხვადასხვა სახის ჯილდო გადასცა.

თეატრისა და გიორგი რატიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს ასევე მეუფე დანიელმა, მწერალმა გურამ ოდიშარიამ, ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ და სხვ.

დასასრულ, თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა სპექტაკლი ,,გამარჯობა, სოხუმოს!" ავანსცენაზე გადაჭიმული გემის ბაგირთან საფინალო სცენა გაითამაშეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში ამ ბაგირთან მდგარმა არაერთმა თაობამ იცის, რა განუმეორებელი იყო აფხაზეთი და ისინიც მოუთმენლად ელოდებიან იქ დაბრუნებას. ამ თეატრის უმთავრესი მისიაც ეს არის: ახალგაზრდობას არ დაავიწყოს სოხუმი და იქ დაბრუნებისთვის შეამზადოს!

საქველმოქმედო საღამო სათნოების სახლ „კათარზისში"

ნონა ბერაია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით სათნოების სახლ „კათარზისში" აფხაზეთიდან დევნილი მარტოხელა და მზრუნველობას მოკლებული მოხუცებისათვის საქველმოქმედო საღამო - „შენ ჩვენ გვჭირდები" გაიმართა. ერთობლივი მსვლელობისას „კათარზისელებმა" და აფხაზეთის შემოქმედმა ახალგაზრდებმა კონცერტი მოაწყვეს. იმ დღეს მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებს სადილზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით უმასპინძლეს. მთავრობის წარმომადგენლებმა, ილორის წმიდა გიორგის ტაძრის თბილისის მეტოქიონის წინამძღვარმა მამა ლევანმა და სხვა სტუმრებმა მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებს დედის დღე მიულოცეს და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების განყოფილების თანამშრომლები და აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის ,,ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარების" წევრები ორი კვირის განმავლობაში „კათარზისის" ადმინისტრაციას ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნვაში დაეხმარნენ.

აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში

ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში ნატო მარშანიას წიგნის - „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის სამეცნიერო რედაქტორია გიორგი მამულია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საფრანგეთის სოციალურ კვლევათა უმაღლესი სკოლის (EHESS) დოქტორი. წიგნი აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა გამოსცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით. პროექტის მხარდამჭერები არიან ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და კავკასიური სახლი.

წიგნი დოკუმენტურ მასალაზეა აგებული და მოგვითხრობს 1921 წელს რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოდან დევნილი, ევროპაში ემიგრირებული აფხაზი არისტოკრატების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მათ მცდელობაზე, ქართველ ემიგრანტებთან ერთად თავიანთი წვლილი შეეტანათ საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისაგან გათავისუფლებაში.

წიგნის გმირები არიან ავბედითი ისტორიის გამო სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული, საქართველოზე ფიქრსა და ოცნებაში აღსრულებული, თითქმის მივიწყებული ადამიანები: ვლადიმერ ემუხვარი, ივანე შერვაშიძე, ნიკოლოზ და ზურაბ ჩხოტუები, ვერონიკა და ჯოტო ემუხვარები, რაფიელ ჩხოტუა, მიხეილ და ჯოტო შარვაშიძეები, მერი შერვაშიძე და პეტრე მარტანია.

პრეზენტაციის მსვლელობისას წარმოდგენილი იყო ფრაგმენტები წიგნის გმირებისადმი სხვადასხვა დროს მიძღვნილი დოკუმენტური ფილმებიდან. ასევე უჩვენეს ნატო მარშანიას არზაყან ემუხვარზე დაწერილი წიგნის „ქედუხრელი რაინდი“ მიხედვით საქართველოს საპატრიარქოს მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის ფრაგმენტი, რომელმაც ცხადად მოიტანა საქართველოს ერთიანობისა და განუყოფლობისთვის დამაშვრალი და დევნილობაში აღსრულებული აფხაზი არისტოკრატების ცხოვრების ტრაგიმმი. და როგორც არაერთმა გამომსვლელმა აღნიშნა, სწორედ ესეც არის ნატო მარშანიას წიგნების მთავარი სათქმელი, როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს დაანახოს მათი წინაპრების ერთიანობის ოდინდელი განცდა, თუ რაზე იდგა ჩვენი ქვეყანა მის განუყოფელ აფხაზეთთან ერთად.

პრეზენტაციის ფარგლებში მოეწყო ფოტოგამოფენა - „გარდასულ წელთა სახეები“, რომელიც აფხაზი არისტოკრატებისა და მათი ოჯახის წევრების ფოტოებს უყრის თავს.

აქვე გთავაზობთ ნატო მარშანიას წიგნის „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ ერთ-ერთი გმირის ნიკოლოზ ემუხვარის მეუღლის, ინგლისელი ქალბატონის ვერონიკა ჰარისი-ემუხვარისადმი მიძღვნილ წერილს წიგნიდან „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“.

ვერონიკა ჰარისი-ემუხვარის ეროვნება

ნატო მარშანია

ვერონიკა ევა ქრიუდსონ-ემუხვარი 1874 წლის 30 ოქტომბერს დაიბადა ინგლისში, რედქარში (უელსი) და 1875 წელს ადგილობრივ ეკლესიაში მოინათლა. ვერონიკას მამა ედვარდ ქრიუდსონი, ფაბრიკის მეპატრონე იყო. მისი დედა, მარია გერტრუდა მიური, წარმოშობით ავსტრალიიდან გახლდათ.

ვერონიკა მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა. ბრიტანული არქივების მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ოჯახი რედქარის ყველაზე მდიდრულ რაიონში ცხოვრობდა და 1881 წელს ვერონიკა სთარფორდშირის წმ. მარიამის კათოლიკურ მონასტერთან არსებულ სკოლაში სწავლობდა.

1890 წელს ქრიუდსონები აშშ-ში გადასახლდნენ.

ვერონიკა ქრიუდსონი ამერიკის მოქალაქეს, არტურ ჰარისს გაჰყვა ცოლად, მაგრამ მალე დაქვრივდა.

ვერონიკას ძალზე საინტერესო ცხოვრება და კარიერა ჰქონდა. იგი აშშ-ს უმაღლეს წრეებში ტრიალებდა, მეგობრობდა მრავალ ცნობილ პიროვნებასთან, მათ შორის გამოჩენილ ინგლისელ პოეტთან ალფრედ ნოიესთან, სახელგანთქმულ ამერიკელთან, შრიფტების დიზაინერ ფრედერიკო გაუდისთან და სხვ.

პირველი მსოფლიო ომის დროს ვერონიკა აშშ-ს მომავალი პრეზიდენტის ჰერბერტ ჰუვერის მდივანი იყო, მდივნის მოვალეობას ასრულებდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზეც, ბელგიაში, ფინეთსა და გერმანიაში კი ამერიკული კვების მრეწველობის სფეროს სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობდა.

აშშ-ს არქივებიდან მიღებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ ვერონიკა ჰარისი ნიუ-იორკში ცხოვრობდა. იგი პირველი ქალი იყო, რომელმაც 1917 წელს ამერიკის არმიის კვარტერმაისტერის ნაწილის კორპუსთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 1917-1919 წლებში ეს ქალბატონი აშშ-ს არმიის მისიით საფრანგეთში იმყოფებოდა.

1919 წლის აგვისტოში, აშშ-ს კონგრესის გადაწყვეტილებით, ახლო აღმოსავლეთის დახმარების კომიტეტი შეიქმნა. კომიტეტის ძალისხმევით და აშშ-ს მთავრობისა და რიგითი ამერიკელების ჰუმანიტარული დახმარების შედეგად ასი ათასობით სომეხი და ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები სხვა ეროვნების უამრავი ადამიანი დაღუპვას გადაურჩა. ახლო აღმოსავლეთის დახმარების კომიტეტის საქმიანობა, ზოგადად, ჰუმანიტარული მოძრაობის ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული ფურცელია. ვერონიკა ჰარისი კომიტეტს 1919 წელს შეუერთდა და იმ დროიდან მისი საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული კომიტეტის კავკასიურ ფილიალთან, რომლის ოფისი, კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების არსებობის წლებში, თბილისში მდებარეობდა.

1921 წელს ვერონიკა კავკასიაში ახლო აღმოსავლეთის დახმარების სამსახურის დროებითი ხელმძღვანელი გახდა. 1922 წლიდან იგი კავკასიაში, ალექსანდროპოლში, ახლო აღმოსავლეთის დახმარების სამსახურის გენერალური დირექტორის თანაშემწედ დანიშნეს, ხოლო 1923 წლიდან - ამ სამსახურის უფროსად. შეუფასებელია პირველი მსოფლიო ომის ტრაგიკული მოვლენების და ომისშემდგომი პერიოდის (1919-1920 წლების) სომეხთა მსხვერპლთა დახმარების საქმეში შეტანილი მისი წვლილი.

ახლო აღმოსავლეთის დახმარების კავკასიის განყოფილების დირექტორის თანაშემწედ მუშაობისას, 1922 წელს, ვერონიკა ჰარისი სომხეთის სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ორდენით («წმ. გრიგოლ განმანათლებლის» მეორე ხარისხის ორდენით) დაჯილდოვეს. ვერონიკას ჯილდო გადასცა სომეხთა კათოლიკოსმა გევორქ V. აი, მისი სიტყვები: „ეს ჯილდო მადლობის ნიშნად გადაეცემა მის მიერ გამოჩენილი მზრუნველობის, მფარველობისა და მრავალი ათასი ობოლი სომეხი გოგო-ბიჭის განათლებისთვის. აგრეთვე ჩვენი ტანჯული დევნილებისთვის აღმოჩენილი დახმარებისთვის“.

1923 წელს ვერონიკამ თურქეთი დატოვა და გარკვეული დრო ტურინში (იტალია), პარიზსა და ინგლისში გაატარა. 1932 წელს იგი აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. ნიკოლოზ ჩხოტუასთან ერთად, ვერონიკა აქტიურად მონაწილეობდა საქველმოქმედო საღამოებში, კითხულობდა ლექციებს, რომლებშიც დიდ დროს უთმობდა საუბრებს საქართველოზე, კავკასიაზე, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციაზე და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობაზე. ვერონიკამ უზარმაზარი როლი შეასრულა ნიკოლოზ და ზურაბ ჩხოტუების ცხოვრებაში, მრავალმხრივად ეხმარებოდა მათ.

ჯოტო ემუხვარმა და ვერონიკა ჰარისმა ერთმანეთი 1920 წელს თბილისში გაიცნეს. გადმოცემის თანახმად, ჯოტო განსაკუთრებულად ლამაზი და გაბედული იყო. ვერონიკა ხშირად სტუმრობდა ჯოტოს მამაპაპისეულ მამულს ოქუმში. 1921 წელს, წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მათ ერთად დატოვეს ქვეყანა. დოკუმენტებით დასტურდება, რომ ვერონიკა და ჯოტო 1922 წლის 23 დეკემბერს კონსტატინოპოლში დაქორწინდნენ. ამ მოვლენას ამერიკული პრესაც გამოეხმაურა.

ნიკოლოზ ჩხოტუას გარე ბიძაშვილი, ჯოტო (ნიკოლოზ) ალექსანდრეს ძე ემუხვარი 1888 წელს დაიბადა სამურზაყანოში, სოფელ ოქუმში, ალექსანდრე გიორგის (გიოს) ძე ემუხვარისა და ძაკუ ანჩაბაძის ოჯახში. იგი სრულიად ახალგაზრდა ასაკში შეუერთდა ქართული არმიის რიგებს და 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაცია რომ არა, მას ბრწყინვალე სამხედრო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ.

უკვე ემიგრაციაში ყოფნისას, 1924 წელს, საფრანგეთში საქართველოს საგანგებო დესპანის და სრულუფლებიანი მინისტრის, აკაკი ჩხენკელის შუამდგომლობით ჯოტო სომიურის კავალერისტთა ცნობილ სკოლაში ჩაირიცხა და სწავლის პერიოდში სიმამაცითა და სიმარჯვით ყველა გააოცა.

სკოლის დამთავრების შემდეგ იგი პოლკში დარჩა, მაგრამ მოულოდნელმა ავადმყოფობამ დაამსხვრია ამ გაბედული, ბრწყინვალე ოფიცრის სამომავლო გეგმები. ჯოტო ორი წელი ებრძოდა იმ დროისთვის სასიკვდილო დაავადებას - ტუბერკულოზს. ვერონიკას ბოლო წუთამდე არ მიუტოვებია მეუღლე, რომელიც 1927 წლის 2 აგვისტოს, საფრანგეთის აღმოსავლეთით, ოტვილში გარდაიცვალა.

ჯოტო ემუხვარმა მეუღლეს ანდერძად დაუტოვა, მისი ნეშტი მშობლიური მიწისთვის მიებარებინათ. ბევრი წვალების შედეგად ვერონიკამ სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გ. ჩიჩერინის დახმარებით სპეციალური ნებართვა მიიღო, მაგრამ მეუღლის ნების აღსრულება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეძლო: გემი სახელწოდებით „ჯოტო ემუხვარი“ საქართველოს ნაპირებისკენ დაიძრა, ბათუმს მიუახლოვდა და ღუზა ნაპირიდან მოშორებით ჩაუშვა - ვერონიკას ნაპირზე გადმოსვლის ნება არ მისცეს.

ბათუმში ვერონიკას ჯოტოს ძმა, ვლადიმერ (ბუჯგი) ემუხვარი და კონსტანტინე (ჩონჩორ) ემუხვარი ხვდებოდნენ. კონსტანტინე ემუხვარის ვაჟიშვილმა, პლატონმა, დაწვრილებით გაიხსენა, თუ რას ყვებოდა მამამისი ამ შემთხვევის შესახებ: ვლადიმერი გემბანზე ავიდა და რძალს თითქმის ერთი საათი ესაუბრა. საუბრისას ვერონიკამ სურვილი გამოთქვა მეუღლის ხსოვნის პატივსაცემად გალიდან ოქუმამდე კეთილმოწყობილი გზა გაეყვანა, მდ. ოქუმზე ხიდი გაეშენებინა, ხოლო სოფელში სკოლა და საბავშვო ბაღი აეგო. ვერონიკას ერთადერთი პირობა ჰქონდა - ამ ნაგებობებს ჯოტო ემუხვარის სახელი უნდა ეტარებინათ. მაგრამ მის ოცნებას განხორციელება არ ეწერა - ბოლშევიკური მთავრობის პირობებში ამ სურვილის შესრულება შეუძლებელი იყო. ჯოტოს ცხედარი კატარღაზე გადაასვენეს, ვერონიკა კი სამშობლოში დაბრუნდა.

1928 წლის 12 ივლისს გაზეთ «საბჭოთა აფხაზეთში» გამოქვეყნდა განცხადება ჯოტო ემუხვარის გარდაცვალების (1927 წლის 2 აგვისტო) შესახებ, რომელიც იუწყებოდა: „დაკრძალვა გაიმართება ოჩამჩირის რაიონში, ოქუმში, 1928 წლის 16 ივლისს“. ამ დღეს ჯოტო ემუხვარი საგვარეულო ეკლესიის ეზოში მშობლიურ მიწას დიდი პატივით მიაბარეს.

მალე ვლადიმერ ემუხვარის, როგორც ემიგრანტის ძმის, დევნა დაიწყო. ვლადიმერმა სამშობლოს დატოვების რთული გადაწყვეტილება მიიღო. მისმა მეუღლემ გამგზავრებაზე უარი განაცხადა და ვლადიმერი იძულებული გახდა განქორწინებულიყო, რომ ოჯახი უსიამოვნებისგან დაეცვა. ვლადიმერის მეუღლე, ვაჟიშვილი და ქალიშვილი სამშობლოში დარჩნენ, მან კი მშობლიური სანაპირო გემით დატოვა (ნათესავების თქმით, გემი ვერონიკამ გამოუგზავნა).

ვლადიმერი საფრანგეთში დაფუძნდა. 1931 წელს ის გრენობლში ჩავიდა, სადაც იმ დროს მისი გარე ბიძაშვილი, ნიკოლოზ ჩხოტუა ცხოვრობდა. შემორჩენილია აკაკი ჩხენკელისადმი გაგზავნილი ვლადიმერ ემუხვარის წერილი: „ჩემს თურქულ პასპორტში წერია „ეროვნებით რუსი“. მსურს, დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქედ ვითვლებოდე, ამიტომ გთხოვთ 5 დღის განმავლობაში გამომიგზავნოთ ქართული პასპორტი. ამასთან, გთხოვთ პასპორტში, სპეციალურ გრაფაში ჩამიწეროთ - თავადი. არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც ასეთ რამეს ყურადღებას აქცევს, მაგრამ ამის გაკეთება მსურს ჩემი რძლის, ვერონიკას (ამ სახელით, უეჭველია, მოხსენიებულია ვერონიკა ემუხვარი - ნ. მ.) პატივისცემის ნიშნად“.

დიდი ბრიტანეთის არქივებში მოპოვებული ცნობებიდან ირკვევა, რომ ვლადიმერ ემუხვარი გვინეტ პრიჩარდზე იყო დაქორწინებული. სად და როგორ გაიცნეს მათ ერთმანეთი, უცნობია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ეს ვერონიკას დახმარებით მომხდარიყო, ვინაიდან ვერონიკას მსგავსად, გვინეტიც წარმოშობით ინგლისიდან იყო.

გვინეტ მერი პრიჩარდი 1904 წლის 6 დეკემბერს პენამენში (გლაუერგლამორგანი, უელსი), მდიდარ და დიდგვაროვან ოჯახში დაიბადა. მისი მამა -ჰოპკინ ლეველინ პრიჩარდი 40 წელზე მეტ ხანს გაუერის ყველაზე მსხვილ მიწათმფლობელთა საზოგადოების კუთვნილი კომპანიის „Penrice Estate“-ის უძრავი ქონების აგენტად მუშაობდა, ბაბუა - გვინეტ რიჩარდ ნაით პრიჩარდი, გლამორგანის შერიფი გახლადთ, ხოლო დიდი ბაბუა, ჰოპკინ ლეველინ პრიჩარდ უფროსი - ცნობილი ქირურგი. გვინეტის დედა, არაბელა ლაურა ქრეივენი მდიდარი ფერმერისა და მოსამართლის ქალიშვილი იყო.

ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც მონაკოდან ვლადიმერ ემუხვარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მივიღეთ, იტყობინება, რომ იგი მონტე-კარლოში (მონაკო) 1945 წლის 7 აპრილს, დილის 7.30 საათზე, სასტუმრო „დე პალმორში“ გარდაიცვალა, რასაც სასტუმროს თანამშრომელი, ჟან ნევე ადასტურებს. სასტუმროში ვლადიმერ ემუხვარი მეუღლის გარეშე ცხოვრობდა. ვერაფერი გავიგეთ ვერც გვინეტ მერი ემუხვარის შემდგომი ბედის შესახებ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1950-70-იან წლებში იგი ლონდონის ყველაზე მდიდრულ უბანში - ქენსინგტონზე ცხოვრობდა და 1972 წელს ჩელსიში (ინგლისი) გარდაიცვალა. ვლადიმერ ემუხვარი 1937 წლამდე წერილებს წერდა სამშობლოში დარჩენილ ოჯახს. მისი ქალიშვილი - ლუბა ემუხვარი აფხაზეთში, გალში ცხოვრობდა. დაქორწინებული იყო სპირიდონ ბულისკერიაზე. ჰყავდა ვაჟი - მუშნი ემუხვარი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა.

აშშ-ს არქივების მონაცემებით ვრწმუნდებით, რომ ვერონიკა ბევრს მოგზაურობდა. ის სანტა კრუზში, ლოს-ანჟელესში, სან დიეგოში, 1943 წელს სანტა-ბარბარაში, ვილა „საბერიოში“ ნიკოლოზ ჩხოტუასთან ცხოვრობდა. სიცოცხლის ბოლო წლები კალიფორნიაში გაატარა.

ვერონიკა ყოველთვის ოცნებობდა საქართველოში დაბრუნებაზე. იგი გარდაიცვალა 1 მარტს 1960 წელს ლოზანაში. დაკრძალულია პრილში (ლოზანა), ზურაბ ჩხოტუას გვერდით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცხოვრების ბოლოს წლები ნიკოლოზ ჩხოტუას ოჯახში გაატარა, რადგან მარტოხელა იყო (შორეული ნათესავების თქმით, ვერონიკამ თავის დებსა და ძმებზე მეტხანს იცოცხლა, მათ კი შთამომავლები არ დარჩენიათ).

ამაღელვებელი და ნაღვლიანია ინგლისელი ვერონიკა ჰარისის სიყვარულის ისტორია. შეუძლებელია, აღტაცებაში არ მოგიყვანოს იმ ქალის მოღვაწეობამ, მხნეობამ და სიმტკიცემ, რომელმაც სიკვდილამდე შეინარჩუნა საქართველოსადმი სიყვარული და აფხაზი თავადის, ბრწყინვალე ოფიცრის, ჯოტო ემუხვარისადმი ერთგულება.

ვერონიკა ჰარისისა და ზურაბ ჩხოტუას საფლავი ქ. ლოზანაში

აფხაზეთი სავიზიტო ბარათად

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოცემული კრებულის „აფხაზეთი სავიზიტო ბარათად“ პრეზენტაცია გაიმართა. პროგრამის მხარდამჭერია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. კრებული აფხაზეთიდან ლტოლვილ საზღვარგარეთ მცხოვრებ 34 წარმატებულ ახალგაზრდაზე მოგვითხრობს.

წიგნის იდეის ავტორი და შემდგენელ-რედაქტორია ნატო კორსანტია, რომელიც თავადვე უძღვებოდა პრეზენტაციას. მისი თქმით, „კრებულში თავს იყრიან აფხაზეთიდან ლტოლვილი წარმატებული ახალგაზრდები. ბევრ მათგანს დღეს ევროპას, აზიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წამყვანი პოზიცია უკავია, ბევრიც წარჩინებული სტუდენტია. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ საკუთარ სამშობლოშივე დევნილებად ქცეულმა ახალგაზრდებმა შეძლეს გზის გაკვლევა და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება, სამსახურის მოძიება, ზოგ შემთხვევაში დამკვიდრებაც კი.

ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ისინი განსაკუთრებული მიზანდასახულობითა და ნიჭიერებით გამოირჩევიან, რაც გვაიმედებს, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი სიტყვის თქმა იმ უდიდეს საქმეშიც, რასაც აფხაზეთის პრობლემის მოგვარება ჰქვია. ამიტომაც აუცილებელია, ვიცოდეთ, ვინ არიან ისინი, სად არიან და რას საქმიანობენ, აპირებენ თუ არა შინ დაბრუნებას? მიუწვდებათ თუ არა ხელი აფხაზეთთან დაკავშირებული ობიექტური ინფორმაციის გავრცელებაში? აქვთ თუ არა ურთიერთობა აფხაზ თანატოლებთან?“

კრებული გამოიცა პროექტის „საინფორმაციო ბანკის შექმნა საზღვარგარეთ მცხოვრებ აფხაზეთიდან ლტოლვილ წარმატებულ ახალგაზრდებზე“ ფარგლებში.

აქვე გთავაზობთ ნატო კორსანტიას ერთ-ერთ წერილს წიგნიდან „აფხაზეთი სავიზიტო ბარათად“.

„მე დამავიწყდა ჩემი ქოლგა“...

ნატო კორსანტია

ასე ერქვა გამოფენას, რომლითაც შარშან, ზაფხულში ქართველი მხატვარი ხატია ესართია ნიუ-იორკში, მარისა ნიუმანის გალერეაში ხელოვნების მოყვარულთა წინაშე წარსდგა. ხატიას მამა წარმოშობით გაგრელია, თვითონ კი მოსკოვში დაიბადა. ხატია აფხაზეთის ომის შემდეგ ოჯახთან ერთად ამერიკაში გადასახლდა. მან ბაკალავრის ხარისხი ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტში მიიღო, ხოლო მაგისტრისა კი ნიუ-იორკში კრისტის საგანმანათლებლო ინსტიტუტში.

„მე დამავიწყდა ჩემი ქოლგა“... ეს ფრაზა ფრიდრიხ ნიცშეს ეკუთვნის და მას მეცნიერები ფილოსოფოსის გამოუქვეყნებელ ნაშრომებში წააწყდნენ.

რას გულისხმობდა ამ ფრაზაში თავად ნიცშე? ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ხატიამ უმრავლესობის მსგავსად, ჯაკ დერიდას იდეა გაიზიარა, რომ „ნიცშე არ გზღუდავს და ინტერპრეტაციის საშუალებას გაძლევს“, ანუ ეს ფრაზაც შეიძლება ისე ახსნა, როგორც შენ გესმის და რაც მთავარია, შენს სათქმელს მიუსადაგო. მხატვარიც ასე მოიქცა, მან ამ იდუმალი ფრაზის ქვეშ ახლო თუ შორეული სინამდვილიდან ამოზრდილი თავისი ზღაპრული სამყარო მოაქცია.

ინტერპრეტაციისა და თავისუფალი აზროვნების მომხრე მხატვარი შენც ასეთივე განწყობით გამოგზაურებს თავის სამყაროში. აქ ერთგან 10

ფუტი სიმაღლის, მთელ კედელზე გაშლილი ნახატის მთავარი გმირი გოგონა ფრთებს ისხამს და ცდილობს, შეცვალოს სამყარო... ამ სერიის სხვა ნახატებზე სხვა პერსონაჟი გოგონა დახეტიალობს ხან ქოლგით - თავსხმა წვიმასა თუ ბობოქარ ზღვაში (აქ ქოლგა ნავის მაგივრობას უწევს) - და ხანაც უქოლგოდ, როცა ირგვლივ გაშლილი თუ დახურული, დავიწყებული თუ დაკარგული ქოლგების ცვენაა.

ამ შემთხვევაში არსებითი ის კი არ არის, დაგავიწყდა თუ სულაც დაკარგე ქოლგა, არამედ უმთავრესი ამ სამყაროში უქოლგოდ დარჩენაა. ქოლგა კი მეტაფორაა, რომელიც თავშესაფართან და უსაფრთხოებასთან, შესაძლოა, სახლთანაც ასოცირდება.

„ბავშვობაში, როცა გაგრაში ვისვენებდით, პატარა გოგონებს სხვადასხვა ფერის პატარა ქოლგები გვქონდა ხოლმე. ალბათ, ამ გამოფენის იდეაც ესაა - პატარა კავშირი ჩემს წარსულთან და ბავშვობასთან. თუმცა, ყოველთვის ვიტყვი, აფხაზეთი და კონკრეტულად, გაგრა ჩემთვის უფრო ფერებთან ასოცირდება“, - ამბობს ერთგან ხატია.

ხატია ბავშვობაში მოსკოვიდან (იქ დაიბადა) ხშირად ჩადიოდა გაგრაში ბაბუა და ბებიასთან, რომელთა ბაბუები და ბებიებიც, მისივე თქმით, იქ ცხოვრობდნენ. ის იხსენებს, რომ ბაბუას ძალიან უყვარდა მოგზაურობა და ამას, იმ მოგზაურობააკრძალულ საბჭოთა პერიოდშიც ახერხებდა. მერე მოსკოვიდან ჩამოსულ გოგონას შთამბეჭდავად უყვებოდა იმაზე, „რაც ნახა და თავს გადახდა“. გოგონას ეს ძალიან ხიბლავდა. ოღონდ, ყველაფერს, რაზეც ბაბუა მოუთხრობდა, ფერებში ხედავდა და ფერებით წარმოისახავდა. ეს კი ისე შემთხვევით არ ხდებოდა... მხატვარი ჰყვება, რომ ის გაგრის ფერებით იყო მოჯადოებული, მისი ემოცია გაგრის ფერებით იყო გაფაქიზებული. ის გაგრას ფერებში ხედავდა და მერე ამგვარი ხედვა სხვა დანარჩენ სამყაროზეც გადაჰქონდა.

ხატიას მხატვრობაც ფერებით გატაცებას დაეფუძნა, მის სტიქიად აკვარელი იქცა. ამიტომაც დაიჟინა უკვე ნიუ-იორკში მყოფმა და აკვარელით მუშაობის ტექნიკას სამხრეთ აფრიკელ ხელოვანთან - რიკა ვან დერ ვოლტთან დაეუფლა. ხელოვანთან, რომელმაც ფერებთან ურთიერთობა კიდევ უფრო ასწავლა და გაუადვილა.

მანამდე კი, მისივე თქმით, ძალიან ბევრს კითხულობდა, აინტერესებდა, სხვაგან რა ხდებოდა. საკუთარ თავში განმარტოებული, უკვე სადღაც მიდიოდა კიდეც და იცოდა, რომ დიდობაში ბაბუასავით თვითონაც მოივლიდა ქვეყნიერებას. თუმცა დიდობაში ისედაც, საკუთარი ნების გარეშეც მოუწია „ქვეყნიდან წასვლა“. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ მისი ოჯახი მოსკოვიდან, საერთოდაც, პოსტსაბჭოთა სივრციდან ბედის საძებნელად ამერიკაში გადასახლდა.

...მაშინ კი, აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, ხატია გაგრაში იყო და იქიდან ომს გაექცა. იმ დღიდან, რამდენიმე წლის შემდეგ მან ნიუ-იორკში, გაგრაზე ნახატების სერია შექმნა და გაგრა ფერებში გააცოცხლა. „გაგრა რომ დამეხატა, ამისათვის როგორც ხელოვანს დიდი დრო დამჭირდა. ეს წარმოსახვით შექმნილი, სახლთან გაიგივებული გაგრაა, მაგრამ ახლავე რომ შემიშვან იქ, შესაძლოა, ათი წელიც დამჭირდეს რეალური, დღევანდელი გაგრის აღსაქმელად და დასახატად,“ - მიაჩნია მხატვარს.

დღევანდელ გაგრასთან კონტაქტი ხატიასთვის დღევანდელ საქართველოსთან კონტაქტთან ასოცირდება და მასთან მეტი სიახლოვე რომ ეგრძნო, ძმასთან ერთად ჯერ ნიუ-იორკში დაიწყო ქართული ენის სწავლა, მერე კი ერთ ხანს თბილისში ჩამოვიდა და აქ გააგრძელა.

ქართულ კულტურულ სივრცესთან დაახლოებას სხვა თვალსაზრისითაც ახერხებს. კრისტის საგანმანათლებლო ინსტიტუტში, ხელოვნების მარკეტინგის ისტორიის შესწავლისას, ხატიამ თეზისის თემად ორი ქართველი მხატვრის - ანდრო ვეკუასა და გიო სუმბაძის შემოქმედება აირჩია, თუ რა სათქმელის გამოსახატავად მიმართავენ ისინი არქიტექტურას საკუთარ ნამუშევრებში და რას ამბობენ ამით. იგულისხმებოდა ის ნამუშევრები, რომლებიც ანდრო ვეკუამ და გიო სუმბაძემ სხვადასხვა დროს ვენეციის ბიენალეზე წარადგინეს.

„ანდრო ვეკუა სოხუმიდანაა. ის ლტოლვილია, აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, იქიდან მაშინ წამოვიდა ისიც, როგორც მე. გიო სუმბაძე თბილისელია. ორივე მათგანის გამოფენა ვენეციის ბიენალეზე არქიტექტურის თემატიკაზე იყო. ანდროს გამოფენა წარმოადგენდა სოხუმს, თვით ქალაქის არქიტექტურას, სახლების პატარა თეატრალურ მაკეტებს, სახლებს, რომლებშიც უკვე არავინ ცხოვრობს. გიოს კი ისტორიული ხასიათის არქიტექტურა ჰქონდა გაცოცხლებული. ანდრო ნოსტალგიას გადმოსცემდა, გიო - ისტორიულ სინამდვილეს. ამ შემთხვევაში მე მინდოდა, ერთ თემაზე ორი ქართველი მხატვრის განსხვავებული ხედვა მეჩვენებინა.

მაშინ მასწავლებლისთვის პუბლიკაციების მიტანა (ის მათ არ იცნობდა) დამჭირდა, იმის დასამტკიცებლად, რომ ანდრო და გიო მომავლის მხატვრები არიან და მათი სახელები ყველამ უნდა იცოდეს, - ამბობს ხატია ესართია და იქვე დასძენს, - მინდა, ქართველმა ხელოვანებმა და მხატვრებმა თავიანთი მყარი ადგილი მონახონ მსოფლიოს არტ-ხელოვნებაში. ძალიან საინტერესოა ქართული თანამედროვე ხელოვნება და ის გზა, რომლითაც ის მიდის. ჩემი თეზისით ესეც მინდოდა მეთქვა.“

და გზამაც, რომელსაც ხატია მიუყვება, შეუძლებელია საქართველოს, მის განუყოფელ აფხაზეთს გვერდი აუქციოს და ფერებად დაღვრილ გაგრაში არ ჩააღწიოს...

„MEGO ბარში ზუგდიდელი პოეტის თემურ ელიავას ლექსების მეორე კრებულის - „პალატა №8“ პრეზენტაცია გაიმართა“, - იუწყებოდა რადიო FM 105.9 - ათინათი. არადა, პოეტი თემურ ელიავა ზუგდიდელი კი არა, სოხუმელია. ის სოხუმში დაიბადა. 6 წლის იყო, როცა ოჯახთან ერთად მშობლიური სახლის დატოვება მოუწია და ქ. ზუგდიდში დაიდო ბინა. ...მოგვიანებით, მისმა ლექსებმა, მისმა ხმამ თბილისამდეც ჩამოაღწია და თანდათან მთელ საქართველოს გადაწვდა.

თემურ ელიავა საოცარი ქვეტექსტებითა და სათქმელით დატვირთულ, შთამბეჭდავი პოეტური სახეებით გამორჩეულ ლექსებს წერს და თუ შეიძლება ასე ითქვას, ბუნებრივი არტისტიზმით მოაქვს მკითხველამდე. მას „მეამბოხე პოეტსაც“ უწოდებენ. ის ამბოხს უცხადებს „ცრუ ღმერთებსა“ და „ცრუ სიმაღლეებს“ „ტყუილი და დოგმების უჩვეულო ეპოქა„-ში... „ოდესმე თუ მორჩებით ამინდებზე საუბარს, ყველაფერზე პასუხობთ, არაფერი... ისე რა! მე კი იმის ნაცვლად რომ დუმილს მხარი ავუბა, ღამე მგლების ყმუილზე ეშვით მაჯებს ვისერავ...„ ამინდები კი, მით უმეტეს, „მარტისნაირი“, როგორც ყველა ნაღდ პოეტს, მასაც სულს უფორიაქებს...

თემურ ელიავა ჩვეულებრივ, მიწიერ ყოფას ვერ ჰგუობს და თავად ცისკენ გამხედავი თუ მსწრაფი, თავის მკითხველსა თუ მსმენელსაც ცისკენ მიაქანებს...

„სხვა ქალაქები დამასიზმრე - ქამე, მიგრონი... ზურგის ქარი და შორი გზები გამომიგონე“, ამბობს თემურ ელიავა ერთ ლექსში, თუმცა არც „ზურგის ქარი“ აკლია, არც „სხვა ქალაქების დასიზმრება“ და არც „შორი გზები“... ამიტომაცაა მისი პოეზია ასე სხვანაირი და იდუმალი...

ახლახან თემურ ელიავა გაზეთ „ჩემი აფხაზეთთან“ ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ. მასთან ინტერვიუს ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში წაიკითხავთ, მანამდე კი მისი პოეტური კრებულიდან „პალატა №8“ რამდენიმე ლექსს შემოგთავაზებთ.

ნატო კორსანტია

ლექსები

თემურ ელიავა

* * *

ისეთი ხმაურია, თალიე,
გეგონება, რაინდებს აუჯანყდნენ
წისქვილები.
- ასი წლის მკვდრებმა ჩირაღდნები
ჩამოირიგეს
და ფარცა-ფერხულს უნათებენ ჩემს სახლს
გალავნად.
შემომძახებენ „მასპინძელოს“
ყოველ წრეზე და
ტკბილი სიმღერით ქვევრს მივსებენ
დალოცვილები.

შენ კი, თალიე,
სევდიანო ჩემო თალიე,
ამ ერთი წვეთი ერთგულებით
რომ შეაბერდი რუსულ სამოვარს,
არაფერს იტყვი!

ბაღი ჭაობად გამიხდია, ნეკნები - ჩალად.
ხანდახან, თალიე, შენც ხდები უხეში -
ის ერთი, სულ უბრალო ნეკერჩხალი,
ის ერთი - ასწლოვან მუხებში.

ქარები ქროდნენ და ქარები ცხრებოდნენო -
წვიმები იყო!
წვიმები ფესვებმა დალიეს.
გაჰქონდათ თანდათან ხეები ცხედრებივით,
თანდათან წარსული დგებოდა, თალიე.

* * *

ჩვენ უკეთ ვიცით,
ვინ ვიყავით, როგორ ვიცხოვრეთ.
ჩვენი სახლები
ნატყვიარ სახლებზე ადრე დაბერდნენ.
ჩვენმა ქვრივებმა
ისწავლეს ქსოვა და მკითხაობა.

ქოთნის ყვავილებს
შეარქვეს სახელები, კატები გაიჩინეს და
სულ უფრო ხშირად კითხულობენ
ბლოკს და ბოანეს.

(ისე ლამაზად ბერდებიან ჩვენი
ქვრივები,
როგორ არ უნდა მოვმკვდარიყავით?!)

ჩვენ უკეთ ვიცით,
ჩვენი სულის წონის სიმძიმე,
რადგან ერთხელაც ჩამოვწყვიტეთ ციდან
ვარსკვლავი,
რადგან ერთხელაც ჩამოვკიდეთ ჭაღზე
მარყუჟი,
ჰოდა, ჩვენ ვიცით,
ჩვენი სულის წონის სიმძიმე

და სხვამ არავინ, რადგან საუბრებს
სუნი ვარჩიეთ პალატების, სველი რკინიგზის
სუნი ვინც ღამეს აჩრდილებთან ვყოფდით
თანაბრად
და სისხლისღვრამდე გვიცეკვია მამლის
ყივილზე.

ჩვენ უკეთ ვიცით-ვინ ვიყავით,
როგორ ვიცხოვრეთ!

* * *

პირველად ვნახე გაზაფხულზე ასეთი
თოვლი.
ჰოდა, ვთქვი: ზამთრის ჭრილობები
შეგვხსნია
თითქოს,
ის კი მალევე აყვავილდა, ზურგი მაქცია.

მეც ხომ ამიტომ მოვიარე დედამიწის მხარე
ოთხივე,
რომ აღტაცებით მომეყოლა შენთვის
ყოველი.
რა ქარტეხილებს, რა წისქვილებს
გადავემტერე,
სად არ მოვმკვდარვარ?!

და აი, ახლა,
ჩამქრალი ბუხრის საკვამურში ქარის
ზუზუნი
ყვება ჩემს ამბავს.

* * *

პირის შეკვრა მიბრძანე და
ნემსის ყუნწში ძაფის გაყრას მოვანდომებ
ასერთ წელიწადს!
უნდა ვიმღერო - სადაც მე ვდგავარ,
მთავრდებიან მდინარეები.
სადაც მე ვდგავარ - ქარია.

ამომიშენე კედლები და ძილი მიბრძანე
- ჩაძირულ გემებს დავისიზმრებ, სკივრებს,
ზარდახშებს.
ზღვის ფსკერზე დავრჩე - სევდიანი
მემოზინები
მომიყვებიან მითებს ხმელეთზე.

გაბზარულაო პაპაჩემის საფლავის ქვა და
ათოვს ნასახლარს.
ჭა ჩამშრალაო, დაქცეულა, ჩამქრალა კერა,
მოთქვამს სულელი.
კაცო, ამისთვის თუ მოსულხარ ამ
ქვეყანაზე,
არ დაგელია წვეთი წყალი, ქვა არ დაგედო.

აი, მე ვდგავარ მდინარეთა დასალიერთან,
სიზმრებს ვკითხულობ.

ხორგივით მოაქვთ მომლოდინე დედების შიში,
შენ კი, გაბზარულ ქვას დასტირი
პაპაშენისას.
წადი და მოსდე მთელ ქვეყანას ჩემი ამბავი,
რომ მე აქ ვდგავარ, მდინარეთა
დასალიერთან,
სიზმრებს ვკითხულობ.

ანას

თითქოს გათეთრებულ თვალთა
მთვლემარებით მზეა
ნამთვრალევში,
ყვითლად გამითენდა ქუჩა დათოვლილი,
ქუჩა
ნაგვიანი.
ვეღარ ავიტანე მისი მდუმარება,
ბოდვით ვითარეშე.
ისე ჩაგეძინა,ვეღარ მოვასწარი,
დღემდე ვაგვიანებ.

პალტოს საყელოზე მესხა არაყი
და მეცხო
მირონივით,
მარად დამებედა ღამის გასათევად ბაღი
თაღიანი,
ღილებს შეგიკრავდი, ღილებს
დაგითვლიდი ისე,
ირონიით,
მაგრამ გაგეღვიძა, ვეღარ მოვასწარი,
დღემდე
ვაგვიანებ.

მსგავსად პერსონაჟის, ცუდი ნოველიდან,
ხელში
შეგიკალი.
სახლი აგირიე, მარტისნაირია ახლა
ამინდები.
შენ კი - არაფერი... ჩუმად მიპასუხე - პალტო
შეიკარი,
პალტო შეიკარი, ქარია, გაცივდები.

მთვრალი ჯენტლმენების ეპოქაა, ხოდა
გამიმართლებს.
დილა ნამიანი უფრო ოკეანედ
რატომ მეჩვენება?!
შენ კი - არაფერი... ჩუმად მიპასუხე - ბეჭებში
გაიმართე!
აი, გავიმართე, გაბღენძილობით თუ
მეშველება...

თითქოს გათეთრებულ თვალთა
მთვლემარებით მზეა
ნამთვრალევში.
ყვითლად გამითენდა ქუჩა დათოვლილი,
ქუჩა
ნაგვიანი.
ვეღარ ავიტანე მისი მდუმარება -
ბოდვით ვათარეშე,
ვეღარ მოგასვენე, ვეღარ მოვასწარი,
დღემდე
ვაგვიანებ.

ბოშას

წერა კი არა,
ორიოდე შემომრჩა სიტყვა.
მისმენ, ოსვალდა?!
წერა კი არა,
დასისხლულ მათრახებს ვირტყამ,
მზის ამოსვლამდე

და ასე შეხსნილ ჭრილობებს ვლამბავ,
ამ ჭრილობებზე მიმკითხავე, მიმარჩიელე.
რომ ამღერდება, რომ მოყვება სევდიან
ამბავს
ვიოლონჩელო,

უბრალოდ, წრეზე იტრიალე,
ზამთრის მოსვლამდე.
უბრალოდ - წესი , რიტუალი,
Belle Osvalda.

სხვა ქალაქები დამასიზმრე - ქამე, მიგრონი...
ზურგის ქარი და შორი გზები გამომიგონე.

* * *

დღეს სხვებმა დალიონ!
მე და შენ ფარდები დავუშვათ, ემილი.
შორია ძალიან.

ხომ იცი-არავინ არ მოვა.

ზღვისპირა სასტუმროს ფანჯრები ჩარაზე,
ფანჯრების იქით ხომ...
მერიმე დააგდე, ასეთი მარაზმი
არ უნდა იკითხო!
საფოსტო ყუთიდან გაუხსნელ წერილებს
ბავშვები გვპარავენ.
წაიღონ, ემილი.
არ მოვა არავინ.

დასრულდა.
ავად ვარ ძალიან,
ძალიან.
აბები, სტუმრები, ღიმილი... აბსურდი.
დღეს სხვებმა დალიონ!

გულწითელა

ჯიმა, ჩემს ეზოში ხე დგას,
ცაზე გურმეჭვია ზის,
ხოდა, გულსაც გამიხეთქავს
კრინტი გურმეჭვიასი.
აკა ცინდ რე, კი, ბატონო,
რაღა ებულბულება?!
ჩემთვის მაინც იადონობს,
გულზე მეგრულგულება.
თავის ჭარას ეგუება,
ჩემსას არ ეგუება !
მას რომ გული ეგულება,
გული არ მეგულება.

აფხაზეთის №3 საჯარო სკოლაში დედამიწის დღე აღნიშნეს

ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის №3 საჯარო სკოლაში III-IV კლასის მოსწავლეებმა, ბუნებისმეტყველების მასწავლებლის ელისო ხაბეიშვილის ხელმძღვანელობით, დედამიწის დღე აღნიშნეს.

მასწავლებელი მოსწავლეებს ამ დღის მნიშვნელობაზე, დედამიწის დაცვის აუცილებლობაზე და დედამიწის დაცვისათვის გასატარებელი აქტივობების შესახებ ესაუბრა.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, მოსწავლეებმა წაიკითხეს ,,ბუნების მესაიდუმლის" - ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები ,,ბუნების შვილთა" შესახებ.

მოსწავლეებმა დახატეს დაბინძურებული და სუფთა გარემო. ამ ნამუშევრებისგან პედაგოგის დახმარებით შექმნეს კოლაჟი და პრეზენტაცია მოაწყვეს.

,,მოწყენილი დედამიწა" ბავშვებმა დაასუფთავეს და ,,დედამიწამაც გაიღიმა" - ამბობს სკოლის წარმომადგენელი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო „წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის" 2019 წლის II ეტაპის განხორციელებას იწყებს

„წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის" სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები, კერძოდ: ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები; ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (ბაკალავრები, მაგისტრანტები) სტუდენტები; ავტორიზებული სამედიცინო/სტომატოლიგიური დაწესებულებების რეზიდენტები.

განმცხადებელს მოეთხოვება შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

- განცხადება
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
- დევნილის მოწმობის ასლი
- ცნობა სასწავლებლიდან, რომ არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი/რეზიდენტი
- რეკომენდაცია/დახასიათება სასწავლებლიდან
- სასწავლო ბარათი (კომისია იხელმძღვანელებს ბოლო სემესტრის მონაცემებით)
- წარმატებულობისა და განსაკუთრებული მიღწევების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტაციის სერტიფიკატები, სიგელები (არსებობის შემთხვევაში)
- ინვოისი (ცნობა პირის მიერ სასწავლებლისათვის გადასახდელი სწავლის წლიური საფასურის ოდენობის თაობაზე, სადაც მიეთითება განცხადების შემოტანის მომენტისათვის სასწავლებლისთვის დარჩენილი გადასახდელი თანხის ოდენობა)

აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი არ უნდა იყოს საშუალოდ 80%-ზე ნაკლები (ნაკლები პროცენტული მაჩვენებლის მქონე პრეტენდენტის განაცხადი არ დაფინანსდება). სრული სასწავლო პერიოდის განმავლობაში (სწავლების ყველა საფეხურის გათვალისწინებით) პროგრამის ფარგლებში ერთი და იგივე პიროვნება ფინანსდება მხოლოდ 2-ჯერ (აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება რეზიდენტურის სტუდენტებზე. რეზიდენტურაში სწავლება ფინანსდება მხოლოდ ერთხელ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი პირველად სარგებლობს წარმოდგენილი პროგრამით). ასევე, ერთი და იგივე პიროვნება არ დაფინანსდება 2-ჯერ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

მოქალაქეთა განცხადებები მიიღება 4 ეტაპად. მეორე ეტაპის საბუთების მიღება დაიწყება 01 მაისს და გაგრძელდება 30 მაისის ჩათვლით.

თითოეულ ეტაპზე, შემოსული განცხადებების განხილვისას, დასაფინანსებლად პრიორიტეტი მიენიჭება უფრო მაღალი შეფასების (აკადემიური მოსწრების ფურცლის მიხედვით) მქონე სტუდენტებს, ხოლო თანაბარი შეფასების შემთხვევაში მათ, ვინც მეტად წარმატებულია, რაც დასტურდება სერტიფიკატების, სიგელებისა და დიპლომების წარდგენით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ნომრებზე: 595 34 33 20; 577 09 22 39.

განცხადებები მიიღება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, (მის: თბილისი, დ. უზნაძის ქ. N68.)

აფხაზეთის ღია საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის მხარდაჭერით, ქ. თბილისში, სფფ-ის სპორტდარბაზში ჩაატარა აფხაზეთის საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში (პროგრამის სხვადასხვა სახეობაში: ხმალი, რაპირა, დაშნა) 2003-2008 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ბიჭებს შორის.

ტურნირი ჩატარდა პირადი პირველობის სახით ხმალში, დაშნასა და რაპირაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, აგრეთვე რუსეთის, თურქეთის, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის სპორტსმენები. საუკეთესო სპორტსმენებისათვის დაწესებული იყო აფხაზეთის ვეტერანი მოფარიკავეების - როზა ჯოლოგუასა და თამაზ კაკულიას სახელობითი თასები.

ტურნირი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. სამი დღის განმავლობაში დაძაბულ ასპარეზობებში გამოვლინდნენ გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები. აფხაზეთის სპორტსმენებიდან უფროსი ასაკის ვაჟებში ხმლით ფარიკაობაში ტურნირის გამარჯვებული და პირველი ადგილის მფლობელი გახდა ლუკა ლომინაძე. უფროსი ასაკის გოგონებში რაპირით ფარიკაობაში მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა ნატა ხარაიშვილი. ტურნირში გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები თასებით, მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019"-ის გამარჯვებული გუნდები ცნობილია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019"-ის აფხაზეთის რეგიონის ფინალური თამაშები გამართა. აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლები ერთმანეთს რეგიონის პირველობისთვის სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეეჯიბრნენ. სულ ოლიმპიადაში 200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019"-ის აფხაზეთის რეგიონის გამარჯვებული გუნდების ტიტული და ზონალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს:

მინი ფეხბურთში - ვოვა ვეკაუს სახელობის აფხაზეთის №3 საჯარო სკოლამ; გეზრბენში (ვაჟები) - ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლამ; გეზრბენში (გოგონები) - ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლამ; ფრენბურთში (ვაჟები) - აფხაზეთის №10 საჯარო სკოლამ; კალათბურთში (ვაჟები) - ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლამ; კალათბურთში (გოგონები) - ოტობაიის №1 საშუალო სკოლამ; მაგიდის ჩოგბურთში (ვაჟები) - აფხაზეთის №10 საჯარო სკოლამ.

გამარჯვებული გუნდები დიპლომებით დაჯილდოვდნენ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელშეწყობით, ფინალისტ გუნდებს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფორმები გადაეცათ.

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019" საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა. პროგრამის მხარდამჭერები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ქ. თბილისში დ. იოსელიანის სახელობის მძლეოსნობის სასახლეში ჩაატარა აფხაზეთის ღია პირველობას მძლეოსნობაში (პროგრამის სხვადასხვა სახეობაში) დიდებს შორის, ბირთვის კვრაში კი 2001-2004 წ. წ. დაბადებულ ახალგაზრდებს შორის.

აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში გაიმართა პირადი პირველობის სახით გოგონებსა და ვაჟებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს რეგიონების მძლეოსნები. თითოეულ სპორტსმენს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო პროგრამის სხვა სახეობებშიც.

შეჯიბრებას ხელმძღვანელობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური და აფხაზეთის მძლეოსნობის ფედერაცია.

100 მეტრზე სირბილის სახეობაში გოგონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ნინო გომარელმა, მეორე ადგილი - მარიამ აბრამიშვილმა, მესამე ადგილი - ნატა გრიგორიანმა. ბიჭებს შორის კი პირველი ადგილზე გავიდა ბორის ფაიკიძე, მეორე ადგილზე - ლუკა გულია, ხოლო მესამე ადგილზე - სანდრო ხაჩატურიანი.

300 მეტრზე დისტანციაზე სირბილში პირველ ადგილზე გავიდა ნინო გომარელი, მეორე ადგილზე - ქეთი გოგილაძე, მესამე ადგილზე - ლიკა ხარჩილავა. ბიჭებს შორის 300 მეტრ დისტანციაზე სირბილში პირველი ადგილი დაიკავა ლუკა გულუამ, მეორე ადგილი - სანდრო ხაჩატურიანმა, მესამე ადგილი კი - ვიტალი ბრეჟნევმა.

800 მეტრის დისტანციაზე სირბილში გოგონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ლიკა ხარჩილავამ, მეორე ადგილი - სოფია ფოცვერიამ, მესამე ადგილი - მარი ფაცაციამ. ბიჭებს შორის პირველ ადგილზე გავიდა ვიტალი ბრეჟნევი, მეორე ადგილზე - დავით დიასამიძე, მესამე ადგილზე - ცოტნე ჯიქური.

შეჯიბრი გაიმართა აგრეთვე ჭოკით ხტომაში. ამ სახეობაში გოგონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა მეგი შონიამ, მეორე ადგილი - ლიზი მაღალაშვილმა, ხოლო მესამე ადგილი - სალომე ინჯგიამ. ბიჭებს შორის პირველ ადგილზე გავიდა საბა სოსელია, მეორე ადგილზე - მიხეილ ცანავა, მესამე ადგილზე - ლაშა ქარქუსაშვილი.

ბირთვის ტყორცნაში გოგონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ელენე თურმანიძემ, მეორე ადგილი - სალომე ინჯგიამ, მესამე ადგილი - ანი მამაცაშვილმა. ბიჭებს შორის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი ადგილი - სერგო აბაშიძე, მეორე ადგილი - რევაზ ქოქოშვილი, მესამე ადგილი - თამაზ მიქელაძე.

სიგრძეზე ხტომაში გოგონებს შორის პირველ ადგილზე გავიდა მეგი შონია, მეორე ადგილზე - თამთა ღვინიანიძე, მესამე აგილზე - ნინო გაზდელიანი. ბიჭებს შორის პირველი ადგილი დაიკავა - ბაჩანა ხორავამ, მეორე ადგილი - მარატი მარკოიძემ, მესამე ადგილი - თემურ პერტახიამ.

გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები თასებით, მედლებითა და დიპლომებით დაჯილოვდნენ.

მოამზადა
ლელა მიქელაძემ

პროექტის „საინფორმაციო ბანკის შექმნა საზღვარგარეთ მცხოვრებ წარმატებულ ახალგაზრდებზე“ და კრებულის „აფხაზეთი - სავიზიტო ბარათად“ ფარგლებში ვიწყებთ ამავე სახელწოდების რუბრიკას. ამ რუბრიკით ამიერიდან გაგაცნობთ კრებულში შესულ და მისი მეორე ნაწილისთვის მოაზრებულ, აფხაზეთიდან ლტოლვილ საზღვარგარეთ მცხოვრებ წარმატებულ ახალგაზრდებს. თანდათან ასევე წარმოგიდგენთ საქართველოში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ გამორჩეულ ახალგაზრდებსაც. ჩვენი ახალი რუბრიკის დღევანდელი სტუმარია წაროშობით ოჩამჩირელი გენრიეტა ბოჭორიშვილი, ნეირომეცნიერების დოქტორი, კომპანია Specialty care-ის ნეიროფიზიოლოგი (აშშ).



გენრიეტა ბოჭორიშვილი

აშშ, ქ. Vienna (ვაშინგტონის შემოგარენი), ნეირომეცნიერების დოქტორი, კომპანია Specialty care-ის ნეიროფიზიოლოგი

დავიბადე 1973 წლის 29 ივნისს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში.

მახსოვს...

ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები, ეს აფხაზეთში, კოჩარაში გატარებული უდარდელი ბავშვობაა, რომელიც ძალიან ხშირად ლამაზად და თან სევდიანად მახსენდება. მე და ჩემი ოჯახი უკვე რამდენიმე წელიწადია ვართ ჩვენი ქვეყნის დესპანები საზღვარგარეთ. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ვარ საქართველოდან, კერძოდ აფხაზეთიდან. ის დღეს ოკუპირებულია და უამრავ ჩემს თანამემამულესთან ერთად, უკვე წლებია, ვერ მივდივართ იქ, საკუთარ სახლში.

აფხაზეთიდან დღემდე...

დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით: ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგია. მალევე ჩავაბარე ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში; 2005 წელს დავიცავი დისერტაცია თემაზე: „ჰიპოაკმპის ჰიპოაქტივობა ექსპერიმენტული დიანცეფალური ამნეზიის დროს“. 2006 წელს მიმიწვიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ვირჯინიის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში, Postdoctoral-ის პოზიციაზე. 8 წლის განმავლობაში ვირჯინიის უნივერსიტეტში ვმუშაობდი სხვადასხვა პროექტზე, როგორიც იყო: AMPA და NMDA რეცეპტორების ტრეფიკინგი და მათი როლი მეხსიერების ჩამოყალიბებაში, ნერვული წრეები და სინაფსები ჯანმრთელ და დაავადებულ თავის ტვინში. სუნთქვის და სისხლის წნევის ნეირონული კონტროლი, პლასტიურობა და ნეიროპათოლოგია სინაფსურ წრეში. გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები, რომლებიც დაიბეჭდა ამერიკის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში. ვხელმძღვანელობდი ნეიროფსიქოფარმაკოლოგიის სალექციო კურსს undergraduate და graduate სტუდენტებისთვის.

მოგვიანებით გადავწყვიტე, ჩემი აკადემიური ცოდნა და გამოცდილება უშუალოდ პაციენტებთან გამოემეყენებინა და აკადემიური სფეროდან კლინიკაში გადავედი. ამჟამად ვმუშაობ ნეიროფიზიოლოგის სპეციალობით კომპანიაში - Specialty care, რომელიც ნეირომონიტორინგის სფეროში ლიდერ კომპანიადაა აღიარებული. კომპანია ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით 725 ჰოსპიტალს ემსახურება, ვთანამშრომლობთ 2 300 ქირურგთან და წელიწადში 88 000-ზე მეტ ქირურგიულ ოპერაციას ვაკეთებთ. ჩვენი კომპანია მოიცავს რეგიონების - Washington DC და Northern Virginia-იის არეალში მოთავსებულ ჰოსპიტალებს (Inova Hospitals, George Washington university Hospital, Sentara medical center და სხვ). ვთანამშრომლობ წამყვან ამერიკელ ნეიროქირურგებთან (DC and Nortern Virginia region) კომპლექსური ნეიროქირურგიული - ზურგის, თავის ტვინის და პერიფერიული ნერვული სისტემის - ოპერაციების დროს, ნევროლოგიური და ანატომიური სტრუქტურების განსაზღვრასა და ფიზიოლოგიური ფუნქციის დადგენაში, რათა ნევროლოგიური დაზიანების რისკი შემცირდეს.

ამ გადასახედიდან...

სიბრალულით მინდა ავღნიშნო, რომ ჩემთვის აფხაზეთი მოჩანს ქვეყანად, რომელიც 90-იან წლებში დარჩა. მას არანაირი განვითარებისა და წინსვლის პერსპექტივა არ ემჩნევა. აფხაზეთის პრობლემის მოგვარება კი, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ და მხოლოდ ძლიერ, განათლებულ ქართულ საზოგადოებას შეეძლება.

როცა აფხაზეთი დაბრუნდება...

18 წლის ვიყავი, როდესაც ბოლოს ჩავედი ოჩამჩირეში. მაშინ ოჯახს მამის ცხედრის ნახვის საშუალებაც კი არ მოგვცეს. მამისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს და გამოასალმეს სიცოცხლეს, რომ ეროვნებით ქართველი იყო.

მე მაშინ ფიცი დავდე, რომ თუნდაც ჩემი ცხოვრების ბოლოს, დაბერებული თუ დაჩაჩანაკებული მაინც მივაღწევ მის საფლავთან და პატიებას ვთხოვ იმის გამო, რაც მოხდა; პატიებას იმ უსასრულო წლების გამო, რომელიც მან ჩვენს მოლოდინში მარტომ გალია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის „ეტალონი მოსწავლე“ მარიამ არშბა გახდა

ნინო ლობჟანიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას არტ-გალერეაში საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი გაიმართა. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენად ერთმანეთს აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეები შეეჯიბრნენ.

ინტელექტ-ჩემპიონატის დაწყებამდე გოჩა ტყეშელაშვილმა „2017-2018 სასწავლო წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეტალონ მოსწავლეს“ სკოლის ღირსეული წარმოჩენისთვის ოქროს ფონდის წევრობის დამადასტურებელი დიპლომი გადასცა, მის მშობლიურ სკოლას კი დიპლომი „ეტალონი მოსწავლის“ აღზრდისთვის. თავის მხრივ 2017-2018 წლის „აფხაზეთის ა/რ ეტალონმა მოსწავლემ“ ამჟამინდელი მონაწილეები გაამხნევა და ნათია თოდუას რეპერტუარიდან სიმღერა აფხაზეთზე - „ფრთამოტეხილი მაფშალია“ შეასრულა.

2019 წლის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეტალონი მოსწავლის“ ტიტულს აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ არშბა დაეუფლა (74 ქულა) და მან საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა; მე-2 ადგილზე გავიდა აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე სალომე ჩარგაზია (69 ქულა); მე-3 ადგილის მფლობელი გახდა ოკუპირებული გალის რაიონის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლე (66 ქულა).

მომდევნო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: მე-4 ადგილი - აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის მოსწავლე ლანა ჯგუბურია (65 ქულა); მე-5 ადგილი - ოკუპირებული გალის რაიონის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლე (63 ქულა); მე-6 ადგილი - აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის მოსწავლე რამინ ბერაია (63 ქულა); მე-7 ადგილი - აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის მოსწავლე რევაზ ჩაკვეტაძე (62 ქულა); მე-8 ადგილი - აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის მოსწავლე ანა შელია (60 ქულა); მე-9 ადგილი - აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის მოსწავლე ჯონი ყალიჩავა (60 ქულა).

რედაქტორი ნატო კორსანტია

ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია, რუსუდან ემუხვარი